ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

მარიამ თვარაძე

საქართველოს ეკონომიკის ტრანსფორმაციის თავისებურებები თანამედროვე ეტაპზე

ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამა

ნაშრომი შესრულებულია ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასოც. პროფესორი
ლელა ბახტაძე

თბილისი,
2020

სარჩევი

ანოტაცია 3
Abstract 4
შესავალი 5
თავი 1 : ეკონომიკური ტრანსფორმაცია 1990 წლიდან 2004 წლამდე 8
თავი 2 : ეკონომიკური ტრანსფორმაცია 2004 წლიდან 2012 წლამდე 19
თავი 3 ეკონომიკური ტრანსფორმაცია 2012 წლიდან დღემდე 37
დასკვნა 51
გამოყენებული ლიტერატურა 53

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომი „საქართველოს ეკონომიკის ტრანსფორმაციის თავისებურებები თანამედროვე ეტაპზე" შედგება შესავლის, სამი თავის და დასკვნისაგან, რომელსაც თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია.

შესავალში თანმიმდევრულადაა გადმოცემული ნაშრომის აქტუალურობა, კვლევის მიზანი და ამოცანები, ობიექტი და საგანი, თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები, მეცნიერული სიახლე და მისი პრაქტიკული მნიშვნელობა.

ნაშრომში გაშუქებულია საქართველოს ეკონომიკის ტრანსფორმაციის თავისებურებები, როგორც ისტორიულ ჭრილში, ასევე თანამედროვე ეტაპზე. კრიტიკულადაა შეფასებული ქვეყანაში განხორციელებული ეკონომიკური რეფორმები, რომელიც უშუალო გავლენას ახდენდა ან ზემოქმედებდა საქართველოს ეკონომიკის ტრანსფორმაციაზე. გამოვლენილია ეკონომიკურ განვითარებაზე მოქმედი ფაქტორები და ის მაჩვენებლები, რომლებიც განაპირობებენ ეკონომიკურ პროგრესსა თუ რეგრესს.

თავები დაჯგუფებულია საქართველოს ისტორიაში არსებული პოლიტიკური ძალების სათავეში ყოფნის ქრონოლოგიური თანმიმდევრულობით.

ნაშრომში ასევე მსოფლიო ეკონომიკის განვითარების თანამედროვე გამოწვევების კვალდაკვალ შეფასებულია საქართველოს ეკონომიკური განვითარების კანონზომიერებები, ტენდენციები და ეკონომიკური რეფორმების ძირითადი პრიორიტეტები.

ნაშრომში მონაცემების უკეთ აღქმის მიზნით, მოცემული გრაფიკები, ნახაზები და ცხრილები შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალურ მონაცემებზე დაყრდნობით.

Abstract

The master's thesis "Peculiarities of Transformation of Georgian Economy at the Modern Stage" consists of an introduction, three chapters, and a conclusion, which is accompanied by a list of used literature.

The introduction sequentially presents the relevance of the paper, the purpose and objectives of the research, its object and subject, the theoretical-methodological framework, the scientific novelty, and its practical significance.

The paper covers the peculiarities of the transformation of the Georgian economy, both in the historical context and at its modern stage. The paper critically assesses the economic reforms implemented in the country, which had and are still having a significant impact on the transformation of the Georgian economy. The paper also identifies the main factors affecting economic development and appropriate indicators that contribute to economic progress or regress.

The chapters are grouped in chronological order according to the main political forces and policy influencers of Georgian history.

The paper also assesses the developmental regularities, trends, and main priorities of economic reforms in Georgia in the wake of the modern challenges of world economic development.

Finally, to better understand the data and information proposed, graphs, drawings, and tables compiled according to official data of the National Statistics Office of Georgia are presented in the paper.

შესავალი

თემის აქტუალობა. თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაზე არსებითი გავლენა მოახდინა გასული საუკუნის 90-იან წლებში აღმოსავლეთ ევროპის და ყოფილი საბჭოთა კავშირის სოციალისტური ქვეყნების ნგრევამ და მათ ტერიტორიაზე წარმოქმნილ ახალ სახელმწიფოებში განხორციელებულ ცენტრალიზებულ-გეგმიანი მეურნეობის გარდაქმნამ საბაზრო ეკონომიკად. საქართველოს ეკონომიკისთვისაც გარდამტეხი აღმოჩნდა აღნიშნული მოვლენა.

საქართველოს ეკონომიკამ საკმაოდ რთული გზა განვლო იმისათვის, რომ ჩამოყალიბებულიყო განვითარებულ საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყანად, რომელიც საერთაშორისო ასპარეზზე იქნებოდა კონკურენტუნარიანი და შეძლებდა დაეკავებინა მოწინავე პოზიციები გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებს შორის. აღნიშნული პროცესი დღემდე გრძელდება. ქვეყანა ცდილობს განხორციელებული რეფორმებითა და ეკონომიკიური პოლიტიკით იქცეს მსოფლიო ეკონომიკის სრულფასოვან ნაწილად.

როგორც ცნობილია ეკონომიკა ის მეცნიერებაა, რომელიც შეზღუდულია ცდების კუთხით. რეალურ სიტუაციაში არ არსებობს უნივერსალური მიდგომა, რომელიც ყველა ქვეყანას მოერგება და მოგვცემს საშუალებას სასურველ შედეგამდე მივიდეთ. სწორედ ამიტომ განვითარებადი ქვეყნის ეკონომიკის ტრანსფორმაცია საკმაოდ რთულ პრობლემებს აწყდება. ხშირად ტაქტიკა, რომელიც ითვლება უტყუარად, გამარჯვებისაკენ მიმავალ გზად, ვერ ამართლებს და განიცდის კრახს.

საქართველოს თანამედროვე ეკონომიკის ისტორიაშიც საკმაოდ მრავლადაა მსგავსი ფაქტები, როდესაც გატარებულმა რეფორმებმა ის შედეგები ვერ გამოიღო, რასაც მთავრობები და საზოგადოება მოელოდა. აღნიშნულის მიუხედავად, წარმატებული რეფორმების მაგალითებიც საკმაოდ მრავლადაა მსოფლიოს თანამედროვე ისტორიაში.

ყველა ქვეყნის ეკონომიკური ტრანსფორმაცია ერთმანეთისაგან განსხვავებულია. ამ განსხვავებას, კულტურა, საზოგადოების მენტალობა, განათლების დონე, ქვეყნის რესურსები, რელიგია და სხვა მრავალი ფაქტორი იწვევს. ზოგიერთ ქვეყანაში

ტრანსფორმაცია შედარებით „უმტკივნეულოდ“ მიმდინარეობს, ზოგგან კი დიდ რესურსებსა და დანახარჯებს მოითხოვს.

სწორედ ამ განსხვავებების გამო არის საინტერესო და ყურადღება გასამახვილებელი, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის ტრანსფორმაციის თავისებურებებზე, რომელთა გამოკვეთა საშუალებას მოგვცემს უკეთ გავაანალიზოთ ქვეყნის სამომავლო გეგმების მოლოდინები და შედეგები.

კვლევის მიზანი და ამოცანები. კვლევის მიზანია გამოვიკვლიოთ ის თავისებურებები და წინააღმდეგობები, რაც ვლინდებოდა და დღემდე ვლინდება საქართველოს ეკონომიკის ტრანსფორმაციის პროცესში. გამოვიკვლიოთ ეკონომიკური რეფორმების წარუმატებლობის გამომწვევი მიზეზები, გარემოებები. გამოვავლინოთ გატარებული რეფორმების ძლიერი და სუსტი მხარეები.

კვლევის ამოცანაა, შევიმუშავოთ რეკომენდაციები, რომლებიც მომავალში დაგვეხმარებიან ეკონომიკური რეფორმების სწორად დაგეგმვასა და ანალიზში. აგვარიდებს თავიდან უკვე დაშვებული შეცდომების განმეორების რისკს.

კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები. სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია მეცნიერების ნაშრომებზე დაყრდნობით.

გამოყენებულია ისეთი მეცნიერების ნაშრომები როგორებიცაა: ვლადიმერ (ლადო) პაპავა - საქართველოს ეკონომიკა რეფორმები და ფსევდორეფორმები 2015წელი, ვლადიმერი (ლადო) პაპავა - საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოში: მიღწევები და შეცდომები. თბილისი 2000; ბასილაია თ, სილაგაძე ა, ჩიკვაიძე თ.-პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკია XXI საუკუნის მიჯნაზე, თბილისი 2001; პიტერ პომერანცევი ჯეფრი რობერტსონი, იოვან რატკოვიჩი და ენ აპელბაუმი რევოლუციური ტაქტიკა: პოლიციისა და სასამართლო რეფორმები საქართველოში; ჭითანავა ნ, გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, ნაწილი I, II, III. თბილისი 1997-1999-2001.

ასევე ანალიზისათვის გამოყენებულია სხვადასხვა წელების ანგარიშები, დადგენილებები და სტატისტიკური მონაცემები.

ნაშრომის სტრუქტურა. სამაგისტრო ნაშრომი შედგება 55 გვერდისგან და მოიცავს: ანოტაციას, შესავალს, სამ თავსა და დასკვნას. ნაშრომს თან ერთვის

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა (42 ერთეული). ნაშრომში გამოყენებულია 23 გრაფიკი და 5 ცხრილი. გრაფიკებისა და ცხრილების მონაცემები აღებულია ისეთი წყაროებიდან როგორებიცაა: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური და საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო. თოთოეულ გრაფიკსა და ცხრილს აქვს მითითებული წყარო.

თავი 1 : ეკონომიკური ტრანსფორმაცია 1990 წლიდან 2004 წლამდე

1990 იანი წლებში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ საქართველომ დაიწყო არაეფექტური, ცენტრალლიზებულად გეგმიური მეურნეობიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა. მას შემდეგ რაც საქართველომ აღიდგინა დამოუკიდებლობა, ეკონომიკური განვითარება საკმაოდ რთულად წარიმართა. გარდაქმნების პროცესი ხშირად იყო არაეფექტური და ვერ უზრუნველყოფდა ეროვნული მეურნეობის სტაბილურ განვითარებას. გამომდინარე იქედან რომ პროცესი იყო სამაოდ რთული, მნიშვნელოვანი შეცდომების გარეშე არ ჩაუვლია კომუნისტური ინსტიტუტების საბაზრო ინსტიტუტებად გარდაქმნას. განსაკუთრებით გასათვალისწინებელია ის ფაქტი , რომ საქართველოს არ გააჩნდა ტრანსფორმაციისთვის აუცილებელი საჯარო ყველა ისნსტრუმენტი.

ზოგადად ემპირიულ მონაცემებზე დაყრდნობით და ტრანსფორმაციის ისტორის გათვალისწინებით გამოიკვეთა პოსტ-კომუნისტური ტრანზიციის ორი ძირითადი მიმართულება: „გრადუალიზმი“ და „შოკური თერაპია“, რომელთა შორის ძირითადი განსხვავება „ტრანზიციის პერიოდია“.

შოკური თერაპია პირველად განხორციელდა დასავლეთ გერმანიაში, ხოლო შემდეგ პოლონეთში. ამის შემდგომ კი ეს მიდგომა გამოიყენა არაერთმა პოსტკომუნისტურმა ქვეყანამ მათ შორის საქართველომ. შოკური თერაპიის კლასიკური მაგალითის ავტორად მიჩნეულია პოლონეთის ყოფილი ფინასთა და პრემიერ მინისტრის მოადგილე, ასევე ერთ დროს, ყოფილი პოლონეთის ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, ლეშეკ ბალცეროვიჩი. იგი ასევე გახლავთ „ბალცეროვიჩის გეგმის“ ავტორი, რომელიც გეგმიური ეკონომიკიდან ლიბერალურ საბაზრო ეკონომიკისკენ პოსტ-კომუნისტური გარდაქმნის ყველაზე წარმატებულ მაგალითს წარმოადგენს ქვეყანაში წინასწარ არსებული პირობების გამო. ეს პირობებია: ინფრასტრუქტურა, მსოფლიო ბაზრებთან სიახლოვე – „სწორ დროს სწორ ადგილზე ყოფნა“, სათანადო საჯარო ინსტიტუტები. ადამიანის განვითარების მაღალი დონე და საქართველოსთვის ეს თერაპია არ ყოფილა ცალსახად პოზიტიური. გეგმამ ვერ მიიყვანა ქვეყანა სასურველ

მიზნამდე, ამის მიზეზი კი ის გახლდათ რომ იმდროინდელ საქართველოში არ არსებობდა ყველა სათანადო ინსტიტუტები.

განვიხილოთ ბალცეროვიჩის გეგმის 10 ეტაპი, ამასთან ერთად იმდროინდელ საქართველოში გატარებული ღონისძიებები. გავაანალიზოთ რატომ ვერ განხორციელდა გარკვეული გეგმის ნაწილები და რა თავისებურებები გამოვლინდა იმდროინდელ საქართველოში.

1. ყველა სახეობის ფასის მრავალჯერადი მომატება, ინფლაციური პროცესების შეგნებული ხელშეწყობა ბაზარზე წონასწორობის დამყარების მიზნით.

   ეს რეფორმა საქართველოში დაიწყო 1991 წლის გაზაფხულზე ამ დროს საქონელის გარკვეულ სახეობებზე პირველად შემოიღეს თავისუფალი ფასწარმოქმნა. იმ დროს ეს გარკვეულ გამონაკლის წარმოადგენდა, თუმცა 1992 წლის 1 თებერვლიდან რადიკალური ცვლილებები იყო გატარებული ფასწარმოქმნის სისტემაში, ეს ყველაფერი მიმართული იყო ბაზარზე წონასწორობის მიღწევად.

   ამრიგად, შესაძლოა ვთქვათ რომ გეგმის პირელი პუნქტი საქართველოში განხორციელდა.

2. მოსახლეობის შემოსავლების მკაცრი შეზღუდვა.

   1992 წელს მოხდა მინიმალური ხელფასებია და სოციალური გასაცემლების ინდექსაცია. 1991 წელს ინდექსირება მოხდა მხოლოდ ერთხელ, ხოლო 1992 ში შემოსავლების ინდექსირება 6-ჯერ მოხდა. 1991 წელს წინა წელთან შედარებით მუშა-მოსამსახურეთა მინიმალური ხელფასი 1,85-ჯერ, ხოლო საშუალო ხელფასი 1,26-ჯერ გაიზარდა. რაც შეეხება 1992 წელს 1991 წლთან შედარებით, მინიმალური 13,14- ჯერ ხოლო საშუალო 17,94-ჯერ გაიზარდა.

   ამრიგად, შესაძლოა ვთქვათ რომ გეგმის მეორე პუნქტი საქართველოში მეტ-ნაკლებად განხორციელდა.

3. ბრუნვაში არსებული ფულის მასის შეზღუდვა და საპროცენტო განაკვეთების მნიშვნელოვანი გაზრდა. ანაბრებსა და სხვა დეპოზიტებზე პროცენტის გაზრდა, მოსახლეობის მიერ ფულის დაზოგვის სტუმულირების მიზნით.

1992 წელს 1991 წელთან შედარებით მოხდა საპროცენტო განაკვეთის ზრდა. წლიურ ანაბარზე 2%-დან 5%-მდე. ხოლო 10 წლიანზე კი, წლიური 9% დან 80%-მდე საპროცენტო განაკვეთების ამგვარი ზრდა, ვერ ასახავდა ინფლაციის ტემს. აქვე იყო ერთი ფრიად საყურადღებო გარემოება და თავისებურება რამაც თავი იჩინა გეგმის შესრულებისას. საპროცენტო განაკვეთი ზრდით პრინციპიულად შეუძლებელი იყო იმდროინდელ საქართველოში ბრუნვაში არსებული ფულის შესღუდვა, რამდენადაც საქართველოს არ გააჩნდა საკუთარი მონეტარული სისტემა. მაშინდელ საქართველოში ბრუნვაში ჯერ კიდევ იყო დაშლილი საბჭოთა კავშირის მანეთი ასევე რუსეთში ახლად შემოღებული რუბლი.

ამრიგად, შესაძლოა ვთქვათ, რომ გეგმის მესამე პუნქტი საქართველოში ვერ შესრულდა.

4. სახელმწიფო ბიუჯეტი ხარჯების შეკვეცა, ცენტრალიზებულ კაპირალურ დაბანდებათა შემცირებისა ამასთან ერთად წამგებიან საწარმოთა დოტირებაზე უარის თქმით.

   1992 წელს სახელმწიფო ბიუჯეტში, ცენტრალიზებულ კაპიტალდაბანდებათა ხვედრითი წილი, საერთო ხარჯებში არ შემცირებულა. ის მერყეობდა 20-25 პროცენტის ფარგლებში. რაც შეეხება დოტაციებს და მის ფაქტობრივი მოცულობას 1992 წელს 1991 წელთან შედარებით თითქმის 5,1-ჯერ გაიზარდა. მიუხედავად იმისა რომ, 1991 წელს დოტაციების ხვედრითი წილი საბიუჯეტო ხარჯებში 47 % იყო ხოლო 1992 ში 30,1 % ეს მაინც არ იყო საკმარისი.

   ამრიგად, შესაძლოა ვთქვათ რომ გეგმის მეოთხე პუნქტი საქართველოში ვერ შესრულდა.

5. სამთავრობო ობლიგაციების გამოშვება სამთავრობო ბიუჯეტის დეფიციტის დასაფინანსებლად.

   1992 წელს იქნა გამოშვებული ობლიგაციები, რომელთა რეალიზებაც მოდა 1993 წელს. მისი მიზანი კი ძირითადად იყო ახალ ქართულ ობლიგაციაზე გადასვლა, ყოფილი საბჭოთა კავშირის ობლიგაციის გაცვლის შედეგად. რაც შეეხება

ობლიგაციის მთავარ დანიშნულებას შეევსო სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი, იმ პერიოდში საერთოდ არ ყოფილა გამოყენებული.

ამრიგად, შესაძლოა ვთქვათ რომ გეგმის მეხუთე პუნქტი საქართველოში ვერ შესრულდა.

6. საგადასახადო კოდექსის დარეგულირება და ინტეგრირება.

   1991 წლის გაზაფხულზე დაიწყო საგადასახადო სისტემის მოწესრიგება, საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებიდან გამომდინარე. მიუხედავად ამისა როგორც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ასევე საქართველოშიც საგადასახადო სისტემის მოწესრიგება წარმოადგენს უწყვეტ პროცესს.

   ამრიგად, შესაძლოა ვთქვათ, რომ გეგმის მეექვსე პუნქტი საქართველოში შესრულდა.

7. აშშ დოლარის მიმართ ზლოტის ერთიანი გაცვლითი კურსის შემოღება და შიგა ბაზარზე ზლოტის კონვერირების უზრუნველყოფა.

   ეს პუნქტი იმდროინდელ საქართველოში თავიდანვე კრახისთვის იყო განწირული რამდენადაც იმდროინდელ საქართველოს არ ჰქონდა საკუთარი ვალუტა.

   ამრიგად, შესაძლოა ვთქვათ რომ გეგმის მეშვიდე პუნქტი საქართველოში ვერ შესრულდა.

8. საერთო საბაჟო ტარიფის დაწესება რაც უზრუნველყოფდა იმპორტის შეზღუდვისა და ექსპორტის სტიმულაციას.

   კიდევ ერთი უცნაური თავისებურება რაც გამოვლინდა ამ გეგმის შესრულებისას ეს იყო იმპორტის და ექსპორტის განაკვეთები. 1992 წლს შემოღებული იქნა ერთიანი საბაჟო ტარიფები, რომლის თანახმადაც იმპორტი იბეგრებოდა 2 %, ხოლო ექსპორტი 8 %. ცხადია, რომ ეს ყოველივე ვერანაირად ვერ უწყობდა ხელს იმპორტის შეზღუდვას და ექსპორტის სტიმულირებას.

   ამრიგად, შესაძლოა ვთქვათ რომ გეგმის მერვე პუნქტი საქართველოში ვერ შესრულდა.

9. ბიუჯეტის შეზღუდვების გათვალისწინებით, მოსახლეობისთვის სოციალური დახმარების პროგრამის დაწესება. 1991-1992 წლებში არ არსებობდა არანაირი

სისტემა რომელიც უზრუნველყოფდა დაბალშემოსავლიანი ოჯახებისადმი რაიმე სპეციალური დახმარების აღმოჩენას.

ამრიგად, შესაძლოა ვთქვათ, რომ გეგმის მეცხრე პუნქტი საქართველოში ვერ შესრულდა.

10. მონოპოლიური საქმიანობების შეზღუდვა და აღმოფხვრა, საწარმოებს შორის კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობა, ამ კონკურენციაში კი სახელმწიფოს ინტერვენციის გაუქმება.

    1992 წელს პირველად იქნა მიღებული გარკვეული სამთავრობო და საკანონმდებლო გადაწყვეტილებები, რომლებიც უშუალოდ ეხებოდა მონოპოლიური საქმიანობის შეზღუდვას ამ ყველაფრით კი, კონკურენციის განვითარებას ბაზარზე. მათი ამოქმედება სრულებით ვერ მოხდა იმავე წელს თუმცა ეტაპობრივად ეს ყოველივე განხორციელდა.

    ამრიგად, შესაძლოა ვთქვათ, რომ გეგმის მეათე პუნქტი საქართველოში შესრულდა.

მოკლედ რომ შევაჯამოთ ბალცეროვიჩის გეგმა საქართველოში შეგვიძლია ვთქვათ, რომ გეგმის 10 პუნქტიდან შესრულდა მხოლოდ სამი. თუმცა კვლავ უნდა იღინიშნოს ის ფაქტი, რომ განუხორციელებელი პუნქტების ნაწილი თავიდანვე განწირული იყო კრახისკენ, რამდენადაც ქვეყანას არ გააჩნდა საკუთარი ფულად საკრედიტო სისტემა.

საქართველოს ეკონომიკის ტრანსფორმაციაში საკმაოდ დიდი როლს თამაშობდა და დღემდე თამაშობს საერთაშორისო სავალუტო ფონდი.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისია პირველად ჩვენს ქვეყანაში 1991 წლის ნოემბერში ჩამოვიდა. პირველი შეხვედრა ძირითადად გაცნობითი ხასიათის იყო. ყოველ შემდეგ შეხვედრებზე საქართველოს მთავრობას ფონდის წარმომადგენლები აძლევდნენ გარკვეულ მითითებებს, რეკომენდაციებს, რომლებიც მაკროეკონომიკური სრაბილურობის მიღწევაში დაეხმარებოდა ქვეყანას. თუმცა საქართველოს ხელისუფლება ამ ყველაფერს სერიოზულად არ ეკიდებოდა. ყოველივე ამან საფინანსო სისტემის ძირფესვიანი მოშლა გამოიწვია.

ვარდების რევოლუციამდე საქართველოში ფონდის მოღვაწეობა შეგვიძლია ორ ეტაპად წარმოვადგინოთ:

I. 1991-1994 წლები. საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოს მთავრობას აქტიურად აძლევს გარკვეულ რეკომენდაციებს და რჩევებს თუმცა ხელისუფლების არასერიოზული დამოკიდებულებიდან გამომდინარე ამ რეკომენდაციების თავიდან არიდება ხდება.

II. 1994 წლის შემდეგ. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიწერ მიღებული რეკომენდაციები საქართველოს მთავრობისათვის ხდება სავალდებულოდ შესასრულებელი. იმის მიუხედავად მოსწონთ მათ ეს თუ არა.

1990 - იან წლებში საქართველოში საერთაშორისო სავალუტო ფონდის საქმიანობას მოჰყვა ბევრი წარმატება. უმთავრესი წარმატება საფინანსო სისტემის შექმნა და მაკროეკონომიკური სტაბილურობის დამყარებაა. ეს წარმატება უფრო კონკრეტულად შეგვიძლია ჩავშალოთ გარკვეულ ნაბიჯებად:

- პურზე ფასების განთავისუფლებით, ფასების ლიბერალიზაციის პროცესის დასრულება.
- პარლამენტის მიერ დამტკიცებული ქვეყნის წლიური ბიუჯეტი 1995 წლიდან.
- საქართველოს გადახდისუნარიან ქვეყნად აღიარება, საერთაშორისოო იმიჯის შენარჩუნება, უცხოური ვალების რესტრუქტურიზაციის გზით.
- საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაცია.
- სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ბანკების პრვატიზაცია.
- ორსაფეხურიანი საბანკო სისტემის ჩამოყალიბება. ამ უკანასკნელით მოხდა გამიჯვნა კომერციული ბანკების ეროვნული ბანკისაგან.
- ჰიპერინფლაციის მოთოკვა. ეროვნული ბანკის მიერ გატარებული იქნა მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, რის შედეგადაც მოხდა ფულის რეფორმის წარმატებით გატარება.

- ქვეყნის საფინანსო მოწყობის საკანონმდებლო ბაზრის შექმნა. რომლის მეშვეობითაც რეგულირდება ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო პროცესები.

1990 იანი წელებში საქართველოს ეკონომიკისთვის კიდევ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო საკუთარი ფულის შემოღება და რუსული ვალუტისგან განთავისუფლება. 1993 წელის გაზაფხულზე შემოღებული იქნა „დროებითი“ ვალუტა ქართული კუპონი. ამ უკანასკნელმა მოსახლეობაში დიდი ნდობის მოპოვება ვერ შეძლო. ამის ერთერთი მიზეზი იყო ის ფაქტი, რომ ის თავიდანვე ქვეყნის ტერიტორიაზე ერთადერთ საგადამხდელო საშუალებად არ გამოცხადდა. თუმცა მხოლოდ ეს ფაქტი არ იყო მაშინდელი მთავრობის პრობლემა. 1993-1994 წლებში იყო დაშვებული გარკვეული კრიტიკული შეცდომები რამაც საერთო ჯამში გამოიწვია ქართული კუპონის გაუფასურება და ჰიპერინფლაცია.

- ეროვნული ბანკი გასცემდა კრედიტებს რომლებიც არ იყო ფულით უზრუნველყოფილი.
- კომერციული ბანკები მუშაობდენენ ოვერდრაფტზე. ეს ყოველივე იწვევდა ფულის მასის ზრდას.
- ბაზარზე იყო 2 გაცვლითი კურსი ოფიციალური და საბაზრო.
- 1993-1994 წლებში არ იყო დამტკიცებული პარლამენტის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტი, მთავრობა კი გაწეულ ხარჯებს უმეტესწილად ეროვნული ბანკიდან აღებული კრედიტებით აფინანსებდა.
- სასოფლო სამეურნეო სექტორის დაფინანსება ხდებოდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ეს თანხები კი სავალუტო ბაზარზე ტრიალებდა, რის შედეგადაც კუპონი აშშ დოლართან მიმართებაში უფასურდებოდა.

ამ და კიდევ მრავალი წვრილ-წვრილი მიზეზის გამო კუპონის გაცვლითმა კურსმა დოლართან მიმართებაში საბაზრო კურსით 2,5 მილიონ კუპონს მიაღწია, ხოლო საბაზრო კურსით 1 აშშ დოლარი 5,4 მილიონი დოლარი ღირდა. ხალხისათვის კუპონის ძირითადი დანიშნულება ამ პერიოდში იყო კომუნალურების გადახდა და პურის

ყიდვა, სხვა ყველა დანარჩენი საქონლის და მომსახურების შესაძენად მოსახლეობა რუსულ რუბლს იყენებდა.

1993-1994 წლებში ინფლაცია თვეში საშუალოდ 50-70 პრცენტი იყო. 1994 წლის ბოლოდან მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარება დაიწყო ეროვნულმა ბანკმა.

1995 წლიდან ქვეყანას უკვე ჰქონდა პარლამენტის მიერ წინასწარ დამტკიცებული ბიუჯეტი. 1995 წელს კუპონის გაცვლითი კურსი დოლართან მიმართებაში დასტაბილურდა და 1,3 მილიონ კუპონს შეადგენდა. რაც შეეხება ინფლაციას თუ 1-2 წლის წინ ინფლაცია თვიურად იყო 50-70 პროცენტი 1995 წელს უკვე წლიური ინფლაცია შეადგენდა 53 პროცენტს.

1995 წელს ყველაფერი იყო მზად ახალი ვალუტის შემოსაღებად. 1995 წლის 2 ოქტომბერიდან ბრუნვაში შემოვიდა ქართული ლარი, რომელიც თავიდანვე გამოცხადდა საქართველოს ტერიტორიაზე გადახდის ერთადერთ კანონიერ საშუალებად, გარდა თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა. მისი გაცვლითი კურსი თავიდანვე სტაბილური იყო და 1 აშშ დოლართან მიმართებაში 1,3 ლარი იყო. საქართველოს მთავრობამ აღარ გაიმეორა უკვე დაშვებული შეცდომები და მკაცრად მოითხოვა კერძო და სახელმწიფო სექტორის მხირდან ლარის მიღება როგორც ერთადერთ გადახდის საშუალებად. გადადგმული იყო მკაცრი ნაბიჯები, რამაც საბოლოოდ შედეგი გამოიღო და ლარმა დაიმსახურა ნდობა საქართველოს მოსახლეობის მხრიდან, მალევე მოახერხა ახალმა ვალუტამ კუპონის და რუსული რუბლის გადევნა ბაზრიდან.

1995 წლეს 5 წლიანი ეკონომიკური ვარდნა პირველად შეიცვალა ზრიდით, ამ წელს გაიზარდა მთლიანი შიგა პროდუქტი 3 %-მდე, ხოლო 1996-1997 წლებში ამ მაჩვენებლის ზრდამ 10-11 % მიაღწია.

1997 წელს საქართველოში წარმატებით დასრულდა ეკონომიკური რეფორმების პირველი ეტაპი, რომელმაც მეურნეობის ტენდენციების ჩამოყალიბებით გადამწყვეტი როლი შეასრულა მდგომარეობის გაუმჯობესებაში და საფუძველი ჩაუყარა მეორე ეტაპის დაწყებას.

ქვეყანაში შექმნილი სტაბილური პოლიტიკური და ეკონომიკური გარემოებებიდან გამომდინარე, ამ წელს ადგილი ჰქონდა ეკონომიკის ყველა დარგის, სფეროსა და რეგიონის განვითარების ტენდენციებს, რაც ზოგადად ეროვნულ მეურნეობაში წარმოებული პროდუქციისა და გაწეული მომსახურების 25%-ით ზრდით გამოიხატა და მისმა საერთო მუცულობან 10 მილიარდ ლარს გადააჭარბა. მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა 11,3 %-ით გაიზარდა და მიმდინარე ფასებში 6,4 მილიარდი ლარი შეადგინა, ხოლო რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა 5,9 მილიარდ ლარს გაუტოლდა. ქვეყანაში მიღწეული მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის საქმეში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საკუთრებითი ურთიერთობების ტრანსორმაციიის ინტენსიურმა პროცესმა.

1997 წელს სამრეწველო სექტორში შემავალ თითქმის ყველა დარგში (მსუბუქი მრეწველობის გარდა) შენარჩუნებული იქნა წარმოების მოცულობის ზრდა 1996 წელთან შედარებით.

1997 წლის მაისში მიღებული იქნა კანონი „სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის შესახებ“ ამან ხელი შეუწყო პრივატიზაციის პროცესის ინტენსიურად წარმართვას ეროვნული მეურნეობის თითქმის ყველა დარგში.

გრაფიკი 1.1 მთლიანი შიდა პროდუქტი 1995-1997 წლებში.



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო წლიური ანგარიში 1997წ.

გრაფიკი 1.2. მთლიანი შიდა პროდუქტი 1997 წლის კვარტალების მიხედვით. მთლიანი შიდა პროდუქტი საბაზრო ფასებით.



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო წლიური ანგარიში 1997წ.

ქვეყნის ეკონომიკური წინსვლის უზრუნველსაყოფად და არსებული პოტენციალის მაქსიმალური გამოყენების მიზნით, სულ უფრო და უფრო მზარდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების შემცირებასა და მის

წინააღმდეგ განხორციელებულ ბრძოლას, რომლის მოცულობაც, იმდროინდელი სტატისტიკის დეპარტამენტის შეფასებით, ეროვნული ეკონომიკაში შექმნილი მთლიანი შიდა პროდუქტის მესამედს აღემატებოდა.

გრაფიკი 1.3. ინვესტიციები და ექსპორტი 1997-2000 წლებში.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

1997 წელს 243 მილიონი დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები შემოვიდა, როცა 1996 წელს ინვესტიციები მხოლოდ 4 მილიონი დოლარი იყო.

1990-იან წლებში საქართველოს ეკონომიკამ დიდი ტრანსფორმაცია განიცადა. ქვეყანამ ეკონომიკურ და არამხოლოდ ეკონომიკური საკითხების კუთხით მიიღო დიდი გამოცდილება. დაშვებული იყო ბევრი შეცდომა. თუმცა ის რეფორმები რაც გატარდა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო, საქართველოს, როგორც თანამედროვე სახელმწიფოდ ჩამოყალიბების პროცესში. ამ ყველაფრის მიუხედავად ქვეყანაში მწვავედ იდგა სიღარიბის, კორუფციის, არაეფექტიანი სასამართლოს და სხვა მრავალი სახის პრობლემა, რომელიც ხალხში იწვევდა პროტესტის გრძნობას და ხელისუფლების ცვლის სურვილს.

თავი 2 : ეკონომიკური ტრანსფორმაცია 2004 წლიდან 2012 წლამდე

საქართველოს თანამედროვე ისტორიაში ერთ ერთი გადამწყვეტი როლი ითამაშა ვარდების რევოლუციამ.

2003 წლის შემოდგომას ჩატარდა ქვეყანაში საპარლამენტო არჩევნები. ეგზიტპოლებისაგან განსხვავებული ოფიციალურ წინასწარ შედეგებს მოჰყვა ოპოზიციის ლიდერებისა და ხალხის მხრიდან პროტესტი. ამ ტალღამ საფუძველი დაუდო ფართომასშტაბიან საპროტესტო აქციებს მთავრობის გადადგომისა და ხელახალი არჩევნების მოთხოვნით. პროტესტის პიკმა მიაღწია 22 ნოემბერს, ხოლო 23 ნოემბერს იმდროინდელმა საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ, ოპოზიციის ლიდერებთან: მიხეილ სააკაშვილთან, ზურაბ ჟვანიასთან და ნინო ბურჯანაძესთან შეხვედრის შემდეგ გადადგომის განცხადება გააკეთა.

რევოლუციამ და მის გარშემო მიმდინარე მოვლენებმა, მიხეილ სააკაშვილს დიდი პოპულარობა მოუტანა და ის თითქმის უალტერნატივო ლიდერად მოგვევლინა ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებში.

რევოლუციის შემდეგ მოხდა ხელისუფლების რეორგანიზაცია და დაიწყო აქტიური რეფორმების გატარება. ეს რეფორმები იყო როგორც დემოკრატიული,

ინსტიტუციური, ასევე ეკონომიკური ხასიათის. დაიწყო აქტიური ბრძოლა კორუფციის აღმოსაფხვრელად და სასამართლო სისტემის განსავითარებლად, რამდენადაც მოსახლეობის მხრიდან ეს უკანასკნელი დიდი ნდობით ვერ სარგებლობდა წარსული გამოცდილებიდან გამომდინარე.

ვარდების რევოლუციამდე საქართველოს ეკონომიკის დიდ სეგმენტს მოიცავდა „ჩრდილოვანი ეკონომიკა“ რაც იწვევდა მთლიანი საგადასახადო სისტემის ჩავარდნას და კორუფციას. საწყის ეტაპზევე მაშინდელმა ხელისუფლებამ ეკონომიკა გამოიყვანა ჩრდილიდან, რამაც უზრუნველყო ბიუჯეტის სწრაფი ზრდა, თითქმის გაორმაგება. რაც შეეხება კორუფციას საჯარო სექტორში იგი მინიმუმამდე დავიდა.

საგადასახადო სისტემის მოწესრიგება ასევე მნიშვნელოვანი იყო იმდროინდელი მთავრობისათვის. 2005 წელს მათ გააუქმეს გადასახადების უმეტესობა. თუკი ადრე მათი რიცხვი 22ს შეადგენდა საბოლოო ჯამში ეს რიცხვი 7-მდე დავიდა, მასში შედიოდა საბაჟო და სოციალური გადასახადებიც, თუმცა ეს უკანასკნელი 2007 წელს გაუქმდა და დარჩა 6.

რეფორმის ფარგლებში შემცირდა დარჩენილ გადასახადებზე განაკვეთები:

- **დამატებული ღირებულების გადასახადი-** 20 პროცენტიდან 18 პროცენტამდე შემცირდა.
- **საშემოსავლო გადასახადი** - გახდა 20 პროცენტი. მანამ შრომის ანაზღაურების დარჩენილი გადასახადი სოციალურ გადასახადთან ერთად 39 პროცენტის ფარგლებში იყო. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც რომ ამ რეფორმამდე მოქმედებდა 4 პროგრესული განაკვეთი, რომელიც მერყეობდა 12 დან 20 პროცენტამდე. ამავე პერიოდში მთავრობამ გასცა დაპირება, რომ საშემოსავლო გადასახადი კიდევ უფრო შემცირდებოდა და გახდებოდა 15 პროცენტი, თუმცა ეს დაპირება არ შესრულდა.
- **მოგების გადასახადი-** 20 პროცენტიდან შემცირდა 15 პროცენტამდე.
- **საბაჟო** - საიმპორტო განაკვეთების გადასახადებიც შემცირდა, ბევრ შემთხვევაში გაუქმა კიდეც. თუ ადრე უმაღლესი საბაჟო განაკვეთის ოდენობა შეადგენდა 32 პროცენტს, ახალი რეფორმის შემდგომ უმაღლესი განაკვეთი დავიდა 12

პროცენტამდე. აქტუალური საშუალო საიმპორტო გადასახადი 1 პროცენტამდე შემცირდა.

საქართველო იქცა ერთ-ერთ ლიდერ ქვეყანად მსოფლიოში ვაჭრობის თავისუფლების მიხედვით, ქვეყნის იმიჯის ნაწილად იქცა სავაჭრო გახსნილობა და სამართლიანობა.

გატარებული რეფორმების წყალობით გამარტივდა სახადასახადო კოდექსი და გახდა ბევრად გამჭირვალე, გადასახადების დეკლარირება სავალდებულო გახდა ინტერნეტის საშუალებით. ამ ყოველივეს წყალობით მოხდა ეკონომიკის წახალიდება, მრავალჯერ გაზრდა.

ქვემოთ წარმოდგენილი გრაფიკი ასახავს 2005 წლის საგადასახადო რეფორმის შედეგებს საგადასახადო შემოსავლების ზრდის ნაწილში.

გრაფიკი 2.1 2005 წლის საგადასახადო რეფორმის შედეგებს საგადასახადო შემოსავლების ზრდის ნაწილში. (მოგების გადასახადი, დღგ, აქციზი, საბაჟო).



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

ხოლო ქვემოთ მოცემული კი, 1995 წლიდან 2013 წლის ჩათვლით ასახავს საქართველოს საგარეო ვაჭრობის სტატისტიკას. მარტივად და ნათლად შეგვიძლია დავინახოთ სავაჭრო ლიბერალიზაციის პოლიტიკის წარმატება.

გრაფიკი 2.2. საქართველოს საგარეო ვაჭრობის სტატისტიკა 1995-2013 წლებში.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

2004 წელს საქართველოს ეკონომიკა გაიზარდა 5,8%-ით, ხოლო 2007 წელს - 12,6 %-ით, თუმცა ამ ყველაფერს ახლდა ინფლაციის საკმაოდ მაღალი ტემპი, რაც შეადგენდა წლიური საშუალოდ 8,4 პროცენტს. ბიუჯეტის შემოსავლები 4 ჯერ გაიზარდა და 5 მილიარდ ლარს მიაღწა, სახელმწიფო ვალი კი 4,3 მილიარდ ლარამდე შემცირდა.

უცხოური ინვესტიციებიმა უმაღლეს მაჩვენებელს მიაღწია 2007 წელს და 2 მილიარდი დოლარი შეადგინა, დღემდე ეს თანხა რჩება რეკორდად საქართველოს შემთხვევაში.

გრაფიკი 2.3. პირდაპირი უცხოური ინვესტიციეები 2004-2007 წლებში.



წყარო:საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

ლიბერალიზაციის პროცესი საკმაოდ აქტიურად მიმდინარეობა, საჭირო ხდებოდა მთავრობის ზომებისა და ხარჯების შემცირება უკეთესი შედეგის მისაღწევად. ამისთვის კიდევ რამდენიმე პუნქტი გატარდა:

- შემცირდა საჯარო სამსახურების ოდენობა.
- საჯარო სამსახურების შემცირებას თან მოჰყვა საჯარო მოხელეთა რაოდენობის შემცირება.
- აქტიურად დაიწყო პრივატიზაციისა და კომერლიცასიის პროექტები. ამ ნაბიჯში შედიოდა ასევე აეროპორტისა და სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული პორტების კერძო სექტორზე გასხვისება.
- მიწები რომლებიც იყო სახელმწიყო საკუთრებაში ხდებოდა მათი პრივატიზაცია, ხშირ შემთხვევაში საჯარო აუქციონების დახმარებით.
- დარეგულირდა 800 ზე მეტი ლიცენზია და ნებართვა გაუქმდა.
- შედგა ახალი შრომითი კოდექსი. რისი მეშევობითაც მოხდა: სამსახურში აყვანის, დასაქმების, დათხოვნის, შრომითი ურთიერთობების წარმართვის ლიბერალიზაცია. გაუმჯობესდა შრომის ანაზღაურება ამ რეფორმის წყალობით. თუ უახლოეს წარსულში მრავლად იყო ფარული დასაქმების მაგალითები, ამ რეფორმების წყალობით მოხდა შრომითი ურთიერთობების ლიბერალიზაცია და

საშუალო ხელფასის ზრდამ საკმაოდ მაღალ მაჩვენებლებს მიაღწია. ქვემოთ მოცემულ გრაფიკში ასახულია სწორედ ეს ზრდა.

გრაფიკი 2.4. საშუალო ხელფასის დინამიკა 2004-2011 წლებში.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

ამ ყველაფრის წყალობით საქართველოში შეიქმა ბიზნესისთვის ღია გარემო, ყველასთვის გამარტივდა ეკონომიკის ნებისმიერ სექტორში შესვლა.

თუმცა ბიზნესის წარმოებისათვის და უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად მხოლოდ ეკონომიკური გარემო საკმარისი არაა. ეს მაშინდელ მთავრობასაც კარგად ესმოდა. სწორედ ამიტომ აქტიურ ეკონომიკურ რეფორმებთან ერთად გატარდა პოლიციის რეფორმა. მისი უმთავრესი მიზანი იყო ბიზნესის დახმარება თავი დაეღწია ძალადობის და მაფიის გავლენისაგან. სწორედ ამიტომ ამ რეფორმის წარმატებამ საქართველოს საერთაშორისო მასშტაბზე მოუტანა წარმატება და სახელი როგორც ბიზნესისათვის ერთ-ერთი უსაფრთხო ქვეყნის.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ამ პერიოდში აქტიურად მიმდინარეობდა პრივატიზაციის პროცესი. უნდა აღინიშნოს რომ წინა მთავრობის პერიოდში გაყიდული სახელმწიფო საწარმოების რაოდენობა გაცილებით მეტი იყო, თუმცა პრივატიზაციის პროცესიდან მიღებული შემოსავალი მიმდინარე პერიოდში გაცილებით მაღალი აღმოჩნდა. თვალსაჩინოებისთვის შეგიძლიათ იხილოთ ქვემოთ მოცემუული გრაფიკი.

გრაფიკი 2.5. პრივატიზებული ობიექტების რაოდენობა და მიღებული შემოსავალი 1995-2008 წლებში.



წყარო:საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ საკუთრების დაცულობის პოლიტიკა აშკარად საჭიროებდა გადახალისებას.

საჭიროა ყურადღება გავამახვილოთ ეკონომიკის ზოგიერთი სექტორის დინამიკაზე. ყოფილი „განვითარებული ინდუსტრიის“ ქვეყნის ბოლო წლების მშპ ძირითადად მომსახურების სექტორში იქმნებოდა. გადავხედოთ ქვემოთ მოცემულ საქსტატის მონაცემებს სადაც ნათლად ჩანს მოთხოვნის ცვლილება და ეკონომიკის პასუხი მასზე.

ცხრილი 2.1. ეკონომიკური სექტორების დინამიკა 1996-2012 წლებში.

	1996	2004	2012	ზრდა
აგრარული სექტორი	1912	2420	3019	58%
სამთო მოპოვება	44	152	390	796%
მრეწველობა	965	1928	6592	583%

ელექტროენერგია, გაზი და წყლის მიწოდება	250	531	1037	314%
მშენებლობა	171	1503	4472	2516%
ვაჭრობა	724	1791	4956	585%
სასტუმროები და რესტორნები	111	408	1069	864%
ტრანსპორტი	238	1387	2792	1073%
კომუნიკაცია	55	548	982	1673%
ფინანსური შუამავლობა	43	201	1016	2250%

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

ბიზნესის სექტორში მკაფიოდ ლიდერობა თავის თავზე მომსახურების სექტორებმა აიღეს, რაც თავის მხრივ განპირობებული იყო უმთავრესად ლიბერალიზებული გარემოთი და სექტორებისადმი მიცემული თავისუფლებით. თუმცა სექტორების ზრდის პროპორციულად არ იყო გადანაწილებული დასაქმებულთა წილი. აგრარულ სექტორში მთლიანი სამუშაო ძალის 50 პროცენტზე მეტი იყო დასაქმებული, მაშინ როცა მისი მთლიანი შენატანი მთლიან შიდა პროდუქტში 10 პროცენტზე დაბალია. განვითარებულ ქვეყნებს, რომ შევადაროთ სადაც აგრარული სექტორი ძალზე განვითარებული, ამავდროულად მთლიან მშპ-ში მისი წილი 5 პროცენტზე ნაკლებია, ხოლო მასში დასაქმებული შრომითი ძალაც ანალოგიურად 5% ზე ნაკლებია, მივხვდებით რომ ჩვენი ქვეყნის მაჩვენებელი საკმაოდ დაუბალანსებელი რიცხვია.

ამ წლებში ერთ-ერთი ყველაზე დინამიური იყო ფინანსური სექტორი. ქვემოთ მოცემული გრაფიკიც სწორედ ამის ამსახველია.

გრაფიკი 2.6. ფინანსური სექტორის დინამიკა 2003-2012 წლებში.



წყარო:საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

ამ პერიოდში საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი იყო ახალი ბაზრების მოძიება და რაც შეიძლება მალე რუსულ რუბლზე დამოკიდებულების მოხსნა. ამის მიზეზი საკმაოდ მრავლად იყო, ჩამოვთვალოთ მათგან ყველაზე მნიშვნელოვნები:

- ეს დამოკიდებულება აფერხებდა ეკონომიკის განვითარებას.
- გარკვეულ წილად იწვევდა სხვის ხარჯზე ცხოვრების განცდას.
- რუსეთის ხელისუფლებას ვალუტის სახით ჰქონდა ბერკეტი ეცადა საქართველოს პოლიტიკაში ჩარევა.

რაც შეეხება მიზანს ეს იყო:

- ეკონომიკური რყევების შემცირება.
- ახალი შესაძლებლობებისა და ბაზრების ძიება.

საქართველო რუსეთზე დამოკიდებულებისგან დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან თავისუფლებოდა. ამ პერიოდში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა ქვეყნის გარე ვაჭრობაში რუსეთის დომინირების შესუსტებაც, რამდენდადაც საქართველო ზედმეტად იყო დამოკიდებული რუსულ ბუნებრივ აირზე და ელექტრო ენერგიაზე. ეს ყოველივე ქვეყნის ხელისუფლებისა და მოსახლეობისათვის დიდ დისკომფორტს და

საფრთხეს წარმოადგენდა. ამიტომ საკმაოდ აქტიურად იდგა ენერგიის ალტერნატიული მომწოდებელი წყაროს ძიება. საქართველომ საკუთარ ტერიტორიაზე უფლება მისცა ახალი მარშუტებს რიკინიგზისა და მილსადენებს, რომლებიც მოედინებოდა კასპიის ზღვიდან დასავლეთის მიმართულებით. ამ ყოველივემ გამოიწვია 2000 იანი წლების მეორე ნახევარში ენერგიის მიწოდების რუსეთის ჰეგემონიის მსხვრევა. ეს პროცესი დაჩქარდა მას შემდეგ რაც რუსეთის მთავრობის მხრიდან ჰქონდა შანტაჟს ადგილი, ელერგიის შეწყვეტის გზით. უმნიშვნელოვანესი გრძელვადიანი ხელშეკრულება დაიდო აზერბაიჯანთან 2006 წლის მერე, როდესაც მილსადენის აფეთქევის შედეგად ზამთარში მოხდა გაზის შეწყვეტა რუსეთის მხრიდან საქართველოსთვის.

ქვეყანაში მომხდარმა მრავალმა ინვესტიციამ გააჩინა შანსი ელექტროენერგიის ქვეყნის გარეთ გაყიდვისა. ქვემმოთ მოცემული ცხრილი ასახავს ელექტროენერგიით სავაჭრო ბალანსს 2002-2012 წლებისთვის. (მილიონი კვტ/სთ).

ცხრილი 2.2. ელექტროენერგიით ვაჭრობის ბალანსი 2007-2012 წლებში.

წლები	2007	2008	2009	2010	2011	2012
ექსპორტი	633,9	679,4	749,4	1524,3	903,6	528,2
იმპორტი	433,5	649,2	255,0	222,1	471,0	614,6
ბალანსი	200,4	30,2	494,4	1302,2	459,6	-86,4

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

თუ დავაკვირდებით ზემოთ მოცემულ ცხრილს ვნახავთ, რომ 2007- 2012 წლებში საქართველომ თითმის ორჯერ მეტი ელექტროენერგიის ექსპორტი მოახდინა ვიდრე იმპორტი, მაგრამ 2012 წელმა დაანახა ქვეყანას რომ ეს ბალანსი არ არის მყარი და მდგრადი, ეს ყოველივე კი ქვეყნის ზრდა-განვითარებასთან იყო დაკავშირებული, რის შედეგადაც იზრდებოდა ქვეყანაში ელექტროენერგიის მოხმარება.

რუსეთის მთავრობა არ წყვეტდა საქართველოს მიმართ ეკონომიკურ რეპრესიებს. 2006 წელს რუსეთის მთავრობამ ბლოკადა დაუწესა ქართულ ღვინოს, ხილს და მინერალურ წყლებს, რამდენადაც ეს სექტორები საკმაოდ დიდად იყო რუსეთის

ბაზარზე გაჯერებული ქართული პროდუქტებით, საქართველოს მხრიდანაც ეს იყო ის წამყვანი სექტორები, რომლის ექსპორტირებაც ხდებოდა რუსეთში. ამ ყოველივეს მიზანი ქართული ეკონომიკის შერყევა და უკან დახევა იყო, თუმცაღა შედეგი სრულიად საწინააღმდეგო აღმოჩნდა. საქართველოს მხრიდან მოხდა ამ სექტორში არსებული საქონლის ხარისხის გაუმჯობესება, რასაც რამდენიმე წელიწადში მოჰყვა ახალი ბაზრების ათვისება და ექსპორტის მოცულობის ზრდა. ქვემოთ მოყვანილი გრაფიკების მონაცემებიც ზუსტად ამას ცხადყოფს.

გრაფიკი 2.7. ექსპორტის დინამიკა 2003-2012 წლებში.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

თუ დავაკვირდებით გრაფიკს ვნახავთ, რომ 2007 წელს, რუსეთის ეკონომიკური ბლოკადის დაწყების შემდეგ იყო საქართველოს ეკონომიკური ზრდა ყველაზე მაღალი. პროდუქციის ხარისხის ამაღლებამ, ახალი ბაზრების მოძიებამ და თავისუფალი ვაჭრობის პოლიტიკამ, გააჩინა ახალი შესაძლებლობები სავაჭრო მიმართულებების გასაფართოვებლად და პარტნიორების გეოგრაფიის დივერსიფიკაციისთვის. ქვემოთმოყვანილი გრაფიკებიც ამ გადანაცვლების რეალურ არსს ასახავს.

გრაფიკი 2.8. ექსპორტის დინამიკა რუსეთსა და ევროკავშირში. 1995 -2012 წლები.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

გრაფიკი 2.9. იმპორტის დინამიკა რუსეთსა და ევროკავშირში. 1995-2012 წლები.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

2008 წლის პირველ ნახევარში ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა გაიზარდა 10 %-ით. 2008 წლის ბოლოს მსოფლიოში დაიწყო გლობალური ფინანსური კრისიზი, ამ ყველაფერმა უარყოფითი გავლენა მოახდინა ქვეყნის ეკონომიკაზე. 2008 წელს აგვისტოს ომის შედეგად საქართველოს ეკონომიკური ზრდა შეჩერდა.

2009 წლიდან საქართველოს საერთაშორისო თანამეგობრობამ დახმარების და შეღავათიანი კრედიტების სახით 4 მილიარდ დოლარზე მეტი დახმარება გამოუყო.

ამის მიუხედავად საქართველოში ამ წელს განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 58 პროცენტით შემცირდა, ექსპორტი კი 24 პროცენტით, რაც შეეხება თავად ქვეყნის ეკონომიკას, იგი 3,7 პროცენტით შემცირდა.

ამას მოჰყვა ბიუჯეტის დეფიციტის ზრდა. ამ პროცესებიდან გამომდინარე ქვეყნის სახელმწიფო ვალი 3 მილიარდი ლარით გაიზარდა 2 წელიწადში. ნაწილობრივ ეს მოხდა ლარის გაუფასურების გამო, საბოლოო ჯამში შეადგინა მშპ-ს 41 %. რაც შეეხება ლარს, იგი დოლარის მიმართ 1,8 მდე გაუფასურდა.

გრაფიკი 2.10. ეკონომიკური ზრდის ტემპი კვატრალების მიხედვით. 2008 წ.



წყარო:საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

2010-2012 წლებში საქართველოს ეკონომიკის ზრდაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს უცხოურმა კრედიტებმა და დახმარებებმა, რის შედეგადაც ეკონომიკა 6.6 პროცენტით გაიზარდა.

2010-2011 წლებში ჩვენი ქვეყნის ბიუჯეტის დეფიციტი საკმაოდ მაღალი იყო, მთავრობა დეფიციტური ხარჯვით ეკონომიკური ზრდის ტემპს ამათლებდა. ამ ყოველივეს შედეგად, სახელმწიფოს ვალი კიდევ უფრო გაიზარდა და 9 მილიარდს გადააჭაბა, უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც რომ მშპ-ს მიმართ 41 პროცენტიდან 35 პროცენტამდე შემცირდა. რაც შეეხება ინფლაციას 2011 წელს ის 11,2 პროცენტი იყო, ხოლო შემდეგ წლებში შემცირდა.

ექსპორტი წლიურად იზრდებოდა 29%-ით, რაც შეეხება პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს, ისინი წელიწადში საშუალოდ 950 მილიონი დოლარის დონეზე იყო.

ეკონომიკის სექტორებიდან ყველაზე მაღალი ტემპით ვითარდებოდა: საფინანსო საქმიანება, ვაჭრობა, სასტუმროებისა და სარესტორნო მომსახურების ბიზნესი. შემცირდა სოფლის მეურნეების სექტორი.

ცხრილი 2.3. მშპ-ის ცვლილების ტენდენცია 2007-2012 წლები.

წელი	2007	2008	2009	2010	2011	2012
ნომინალური მშპ, მლნ. ლარი	16,994	19,075	17,986	20,743	24,344	26,167
მშპ 2010 წლის ფასებში, მლნ. ლარი	19,784	20,263	19,523	20,743	22,241	23,654
მშპ-ის რეალური ზრდა	12,6%	2,4%	-3,7%	6,2%	7,2%	6,4%
ნომინალური მშპ, მლნ. დოლარი	10,172	12,801	10,767	11,637	14,439	15,847
ნომინალური მშპ ერთ სულზე, ლარი	3,867	4,353	4,101	4,676	5,447	5,818

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

2003 წელს სათავეში მოსულმა ხელისუფლებამ, იმ ყველა სიკეთესთან და წარმატებით განხორციელებულ რეფორმებთან ერთად, დაუშვა ბევრი ეკონომიკური და პოლიტიკური შეცდომა. რაც თავის მხრივ ხალხში იწვევდა პროტესტის გრძნობას და ხელისუფლების ცვლილების სურვილს. გამოვკვეთოთ რამდენიმე საყურადღებო შეცდომა, რომელმაც საკმაოდ დააზიანა ბიზნესგარემო ქვეყნის შიგნით. მთავრობამ გააუქმა ბევრი რეგულაცია, რომელიც აკონტროლებდა ბიზნეს სექტორის ფუნქციონირებას. ამ ყოველივეს მიზანი ხშირ შემთხვევაში იყო ბიზნესის გათავისუფლება, თუმცა შედეგი არაერთგვაროვანი აღმოჩნდა.

2005 წელს მთავრობამ ძირეულად შეცვალა კონკურენციის პოლიტიკის სფეროში არსებული კანონმდებლობა. შეცვლამდე არსებული კანონები მიზნად ისახავდნენ

ფირმების ქცევის რეგულირებას, იგი ზღუდავდა მონოპოლიის შექმნასა და საბაზრო ძალაუფლების მოხვეჭის მცდელობას. სწორედ 2005 წელს მიიღებულ იქნა კანონი თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ, რომელიც მხოლოდ ბაზრის შეზღუდვისადმი მიმართულ სახელმწიფო ქმედებას ზღუდავს. გარდა ამისა გაუქმდა ყველა ის განსაზღვრება, რომელიც არეგულირებდა ფირმებს შორის საიდუმლო მოლაპარაკებებს ანდა ბაზარზე დომიმანტური პოზიციების ბოროტად გამოყენებას. ამ ყველაფერთან ერთად გაუქმდა ფირმების გაერთიანება-ფუზიონირების დროს კონტროლის ინსტრუმენტი, რაც კონკურენციის შესახებ ყველა თანამედროვე კანონმდებლობის აუცილებელ შემადგენელ ნაწილს შეადგენს. ამ ყველაფრის შედეგადა არსებული ქართული ანტიმონოპოლისტურ სამსახური თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტითი ჩანაცვლდა, რომლის ფუნქციას სახელმწიფოს შესყიდვების ზედამხედველობა და სახელმწიფო დახმარების გაწევა წარმოადგენს. 2005 წლიდან ქართული ბაზარი გახდა ღია და უშვებდა ფირმებს შორის ჩუმად მოლაპარაკებასა და ერთმანეთთან შეერთებას, კონკურენციას კონრტოლს აღარავინ უწევდა, რამდენადაც ეს აღარ მიიჩნეოდა საჭიროდ. ამ რეგულაციებიდან გამომდინარე ნელნელა გაუქმდა ისეთი სამსახურები როგორიცაა: ანტიმონოპოლიების კომისია 2005 წელს, ასევე საკვების კონტროლის სამსახურური 2006 წელს. განიხილებოდა ფულის ბეჭდვის ნაციონალური ბანკების გაუქმებაც, როგორც ფულის სფეროდან სახელმწიფო კონტროლის ჩამოცილების მცდელობა.

მაგალითისთვის ვნახოთ მცირე, საშუალო და მსხვილი საწარმოების ბრუნვის წილი (%) საერთო ბრუნვაში 2006–2011 წლებში საწვავით საცალო ვაჭრობის სეგმენტზე.

ამ დროს საქართველოს ნავთობპროდუქტების ბაზარზე 5 დიდი კომპანია დომინირებდა, ამ სექტორში მცირე და საშუალო კომპანიების რაოდენობა საკმაოდ მცირე და თითქმის შეუმჩნეველი იყო.

გრაფიკი 2.11. 2006-2011 წლებში საქართველოს ნავთობპროდუქტების ბაზარზე მცირე, საშუალო და დიდ კომპანიათა წილები.



წყარო:საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

სამწუხარო ფაქტია, რომ ამ პერიოდში ადგილი ჰქონდა საკუთრების უფლების ხელყოფას ხელისუფლების მხრიდან. ამის ერთ-ერთი მაგალითის წარმოადგენს ნებაყოფლობითი „ჩუქება“ სახელმწიფოსათვის. საქართველოში არ არსებობდა კანონი, რომელიც უზრუნველყოფდა არაკანონიერად მოპოვებული ქონების ნაციონალიზაციას, ამის საკომპენსაციოდ ე.წ „ჩუქებები“ საკმაოდ ლეგიტიმურ ფორმად მიიჩნეოდა.

ომბუდსმენის მიერ გორის რაიონში ჩატარებული კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ ვარდების რევოლუციისა და მთავრობის ცვლილების შემდგომ ყველა მსხვილი ბიზნესი „ნებაყოფლობით“ გადავიდა ადგილობრივი მთავრობის ხელში, რაც კიდევ უფრო მეტად საყურადღებოა ისაა რომ ეს ყოველივე მოოხდა ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე. რა თქმა უნდა ამგვარი „ჩუქების“ ფაქტები მხოლოდ გორს არ ეხებოდა და ბევრად უფრო მასიური იყო, მოიცავდა მთელს საქართველოს. ეს ყოველივე ხდებოდა იძულების გზით სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოს ჩართულობით და დაშინებით, ისეთი ორგანოების როგორიცაა ფინანსური პოლიცია, შინაგან საქმეთა სამინისტრო და სხვა.

ეს ყოველივე ამით არ მთავრდებოდა და ჰქონდა მეორე ეტაპი, რომელიც თავის თავში მოიაზრებდა სახელმწიფოს მიერ მოპოვებული ქონების ხელმეორედ გასხვისებას, ტენდერებისა და აუქციონების მეშვეობით. მყიდველები კი, როგორც ადგილობრიი დამკვირვებლები აღწერდნენ, ხშირ შემთხვევაში იყვნენ ისეთი ასოციაციაბი და ფიზიკური პირები, რომლებიც რეგიტრირდებოდნენ ტენდერის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე, ანდაც ჰყავდათ გაურკვეველი მესაკუთრე. 2004- 2005 წლებში მომხდარმა ნაციონალიზაციამ და მეორე პრივატიზაციამმნიშვნელოვნად შეცვალა ქონების გადანაწილება.

ხშირ შემთხვევაში საკუთრების უფლების ასეთი უხეში დარღვევა ემსახურებოდა მთავრობასთან დაახლოებულ ელიტარული ბიზნესმენების ინტერესებს, ხდებოდა ამ ყოველივეს მათ ხელში თავმოყრა.

რაც შეეხება მთავრობას, მას პირდაპირი სარგებელი ჰქონდა მსგავსი მოქმედებებიდან, რამდენადაც „მეორე პრივატიზაციიდან“ მიღებული თანხები მიედინებოდა პირდაპირ ბიუჯეტში და გამოიყენებოდა მის შესავსებად. ვარდების რევოლუციის შემდეგ სახელმწიფოს ფული სასწრაფოდ სჭირდებოდა, და ეს თანხები ძალიან მნიშვნელოვანი იყო.

საქართველოში იმდენად ხშირი გახდა ბიზნესის არაფორმალურად გადაფორმების შემთხვევბი, რომ ქართველი ბიზნესმენებისთვის ეს ყველაფერი არაფორმალურ წესდებად იქცა. როგორც კი ბიზესი მიაღწევდა გარკვეულ სიდიდეს, უმალვე ჩნდებოდა საფრთხეც რომ მის მისაკუთრებას მოინდომებდნენ სამთავრობო

ჩინოვნიკები ან სამთავრობო პარტიის წევრები. ეს კრიტიკული სიდიდის მაჩვენებელი კი 100 000 ლარს შეადგენდა.

2003 წლიდან დაწყებული რეფორმები ოფიციალურ მიზნად ისახავდა კონკურენციის ხელშეწყობას, რომლის ღიაობაც გარანტირებული იქნებოდა ტრანზაქციის დაბალი დანახარჯებისა და ბაზარზე შეღწევის თანაბარი შესაძლებლობებით. ამ ყოველივეთი მთავრობა უგულებელყოფდა კონკურენციისთვის ბაზარზე დომინანტური პოზიხიის ბოროტად გამოყენებაზე კონტროლის მეშვეობით ხელშეწყობის შესაძლებლობას. კონკურენციის პოლიტიკა გამოიყენებოდა, როგორც ფასების მექანიზმის ფუქნციონირების საგარანტიო ინსტრუმენტი. რაც შეეხება ლიბერალურ საბაზრო ეკონომიკას, მისი ძირითადი მოთხოვნაა ბაზარზე მონოპოლიების აღმოცენების შესაძლებლობების არ დაშვება და მათი აღკვეთა. საქართველო სამწუხაროდ ამ პერიოდში ისეთ შეფასებებში როგორიცაა ადგილობრივი კონკურენციის ინტენსიურობა და ბაზრის ფლობის მოცულობა, იკავებდა საკმაოდ უკანა პოზიციას. პირველ შემთხვევაში ეს იყო 128-ე ადგილი 144 ადგილიდან, ხოლო მეორე შეფასებაში 112-ე ადგილი 144 ადგილიდან. ეს ყოველივე იმას მიანიშნებდა რომ საქართველოში არ იღო ჯანსაღი შიდა კონკურენცია ადგილობრივ ბაზარზე.

კანონდარღვევის სხვადასხვა ფორმებიდან გამომდინარე, მოხდა კონკურენციის დათრგუნვა, ეს ყოველივე განპირობებული იყო ბაზარზე შეღწევადობის არაფორმალური ბარიერებითა და „კლანებზე“ მორგებული ეკონომიკური თამაშის წესებით.

საყურადღებოა ერთი ფაქტი, რომ ბაზრები რომლებიც არიან მკვეთრად დამოკიდებული იმპორტზე, ახასიათეთებთ მონოპოლიების წარმოქმნის მიდრეკილება. ექსკლუზიური საიმპორტო ხელშეკრულებების დადება და შემდეგ შენარჩუნება იმ ბიზნესების პერაქტიკების რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც საკმაოდ ფართოდააა გავრცელებული ისეთ განვითარებად ქვეყნებში, როგორიც საქართველოა. რა თქმა უნდა ეს პრაქტიკა სტაბილური ბიზნესურთიერთობების გამო მწარმოებლებისთვის ძალიან ხელსაყრელია, მეორეს მხრივ საიმპორტო ხელშეკრულებები და შეთანხმებები ხელს უწყობს საბაზრო კონცენტრაციას და

ადგილობრივ ბაზარზე მონოპოლიების აღმოცენებას. სწორედ ამგვარ პირვილეგიებს ჰქონდა ადგილი ისეთ სფეროებში როგორიცაა ფარმაცია. ამ სფეროში არსებობდა სახელმწიფოს მიწერ გაცემული რეგისტრაციის სია, რომელიც განსაზღვრავდა იმას თუ რომელი პროდუქტი შეიძლებოდა შემოსულიყო ქვეყანაში.

იმისათვის რომ მთავრობას ეკონომიკური პროცესები ემართა საკუთარი სურვილების შესაბამისად, მან განავითარა სახელმწიფო სტრატეგია, ამ ყველაფრისთვის ის იყენებდა ნაცად არაფორმალურ ინსტრუმენტს „ბიზნესის საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა“. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ე.წ. სტრატეგიულ ჩამორთმევებთან და იძულებით ინვესტიციასთან. ამ პერიოდში საკმაოდ ხშირი იყო მიწისა და სხვა უძრავი ქონების არანებაყოფლობითი გადაცემა სტრატეგიულ სფეროებში.

ფორმულა „ბიზნესის საზოგადოებრივი პასუხსიმგებლობა“ აიძულებდა კერძო ფირმებს განეხორციელებინათ ინვესტიციები, სახელმწიფო ყოველივე ამისათვის სამაოდ მძლავრ ინსტრუმენტს ფლობდა, მიზანი კი იყო სხვადასხვა ეკონომიკური სექტორების განვითარება.

თავი 3 ეკონომიკური ტრანსფორმაცია 2012 წლიდან დღემდე

2012 წლამდე მიმდინარე მოვლენებმა ხალხში გააჩინა მთავრობის ცვლილების სურვილი. 2012 წლის შემოდგომაზე ერთიანი ნაციონალური მოძრაობა დამარცხდა და

საპარლამეენტო არჩევნები 54% ით მოიგო კოალიცია ქართულმა ოცნებამ, რომელიც ოფიციალურად დაარსდა 2012 წლის 21 აპრილს, მისი დამაარსებელი, იდეოლოგი და თავმჯდომარე გახლდათ ბიძინა ივანიშვილი. მოგვიანებით ერთი წლის შემდეგ გამართლ საპრეზიდენტო არჩევნებშიც გაიმარჯვა ქართული ოცნების კანდიდატმა გიორგი მარგველაშვილმა.

ახალი მთავრობა ახალი ენერგიითა და მუხტით შეუდგა ქვეყნის მართვასა და განვითარებას. დაიწყეს ეკონომიკური პოლიტიკის გადახედვა. გარკვეული ინფრასტრუქტურული პროექტები დაპაუზდა ან საერთოდ მოიხსნა დღის წესრიგიდან, არ იყო მკვეთრად გამოკვეთილი თუ რომელ გზაას აირჩევდა ახლად მოსული მთავრობა ქვეყნის ეკონომიკის განსავითარებლად.

2013 წელს ეკონომიკური ზრდის ტემპი წინა წლებთან შედარებით შემცირდა და 3,2% შეადგინა.

გრაფიკი 3.1. მშპ-ის რეალური ზრდის მაჩვენებლები (პროცენტული ცვლილება) 2006-2014 წლები.



წყარო:საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

„გაირღვა“ ბიუჯეტის შემოსვლებისა და გადასახადების ბალანსი. საგრძნობლად შემცირდა ამ წელს ინფრასტრუქტურის ხარჯები რომელიც 1,5 მილიარდი ლარიდან 1,1 მილიარდ ლარამდე ჩამოვიდა.

გრაფიკი 3.2. 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გარღვევა.



წყარო:საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

ამ წელს სოფლის მეურნეობის სექტორი გაიზარდა ყველაზე მეტად, ამ ზრდამ 11,3 % შეადგინა. ეს ყველაფერი გამოიწვია მთავრობის მიერ ხალხისთვის დარიგებულმა ხვნა-თესვის ვაუჩერებმა. თევზჭერა, მეთევზეობის დარგის წილმა 9,8% შეადგინა. ყველაზე მნიშვნელოვანი შემცირება კი მშენებლობის სექტორში იყო და 10,6%-იან შეადგინა.

2014-2017 წლებში ეკონომიკის ზრდა შენელდა, ეს ყველაფერი გამოწვეული იყო რუსეთში და აზერბაიჯანში არსებული კრიზისით. ამ ყველაფრის ფონზე საქართველოს ექსპორტი 27% -ით შემცირდა, რაც შეეხება საზღვარგარეთიდან ფულად გზავნილებს 22%ით. ამ ყველაფერთან ერთად დაეცა ტურიზმის ზრდის ტემპიც. გაიზარდა სახელმწიფო ვალი მშპ-ს მიმართ და 44% შეადგინა. ბოლო ოთხი წლის მანძილზე საშუალოდ ინფლაციის მაჩვენებელი 3,7 პროცენტი იყო.

2014-2017 წლებში ყველაზე მეტი პირდაპირი ინვესტიციები 2014 წელს იყო და 1,8 მილიარდი დოლარი შეადგინა, ხოლო მომდევნო წლებში მათი საშუალო მაჩვენებელი 1.6 მილიარდი დოლარი იყო.

ქვეყანაში და მის სამეზობლოში მიმდინარე მოვლენებისა და შემცირებული საგარეო ვაჭრობის გამო, ლარმა დაიწყო გაუფასურება, ამ პერიოდში ლარის გაცვლითმა კურსმა დოლართან მიმართებაში 2,8 ლარს მიაღწია.

გრაფიკი 3.3. ლარის კურსი დოლარის მიმართ(თვის ბოლოს) 1995-2017 წლები.



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

2014-2016 წლებში არსებული ეკონომიკური ზრდის შენელებული ტემპის შემდგომ, ქვეყნის ეკონომიკამ სწრაფი ტემპით დაიწყო გამოცოცხლება 2017 წლიდან.

გრაფიკი 3.4. მშპ-ის რეალური ზრდა და დეფლატორი. 2013-2017 წლები.



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

2017 წელს მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა შემდეგ სექტორებში:

- **ვაჭრობა** - ზრდა 6.6% წვლილი მთლიან ზრდაში 0.9%.
- **მშენებლობა** - ზრდა 11.2% წვლილი მთლიან ზრდაში 0.7%.
- **ტრანსპორტი** - ზრდა 7.2% წვლილი მთლიან ზრდაში 0.5%.

- **დამამუშავებელი მრეწველობა** - ზრდა 5.0% წვლილი მთლიან ზრდაში 0.4%.
- **საფინანსო საქმიანობა** - ზრდა 9.2% წვლილი მთლიან ზრდაში 0.3%.
- **სასტუმროები და რესტორნები** - ზრდა 11.2% წვლილი მთლიან ზრდაში 0.3%.

გრაფიკი 3.5. ეკონომიკური ზრდა (პროცენტებში) 2015-2018 წლები.



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

2018 წელის ეკონომიკური აქტივობაც. ასევე მზარდი ტენდენციით დაიწყო. ეკონომიკურმა ზრდამ 4.7 პროცენტი შეადგინა.

მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე ხასიათდება მზარდი ტენდენციით. 2018 წელს მშპ ერთ სულ მოსახლეზე 11 059 ლარს , ხოლო 4 364 აშშ დოლარს შეადგენდა. საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებით კი, მსყიდველობით უნარიანობის პარიტეტის (PPP) მიხედვით მშპ ერთ სულ მოსახლეზე 11 600 აშშ დოლარს შეადგენდა.

გრაფიკი 3.6. მშპ 1 სულზე 2010-2018 წლები.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

უმუშევრობის დონე- 2018 წლისთვის უმუშევრობის დონემ შეადგინა 12.7 პროცენტი, რაც ბოლო წლების მანძლზე ყველაზე დაბალი მაჩვენებელი იყო. 2017 წელს ეს მაჩვენებელი 13.9 პროცენტი იყო. ამ წელს უმუშევრობის დონემ ქალაქად შეადგინა 22.8 პროცენტი, ხოლო სოფლად 5.1 პროცენტი. რაც შეეხება ასაკობრივ ჯგუფებს ყველაზე მაღალი დონით გამოირჩეოდა 15-24 და 25-34 ასაკობრივი ჯგუფები.

გრაფიკი 3.7. უმუშევრობის დონე (პროცენტები) 2008-2018 წლები.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

საგარეო ვალი - 2018 წელს წინ წელთან შედარებით საგარეო ვალის პროცენტული წილი მშპ სთან მიმართებაში შემცირდა. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ თუ მისი ოდენობა 2017 წელს იყო 115 პროცენტი, 2018 წელს ეს მაჩვენებელი 110 პროცენტამდე შემცირდა.

გრაფიკი 3.8. ვალის ცვლილების დინამიკა (მშპ-ის პროცენტები) 2010-2019 წლები

წყარო:საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

გაცვლითი კურსი - ბოლო პერიოდში ქვეყნანაში, მის ეკონომიკაში და მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების გამო ლარის კურსი გარკვეულწილად განიცდიდა გაუფასურებას. ქვემოთ მოცემულ გრაფიკში წარმოდგენილია 2019 წლის 9 ივლისის შედარება წინა წლებთან. 9 ივლისის მდგომარეობით, 2019 წლის 1 იანვართან შედარებით, ლარის ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი გაუფასურებული იყო 5.6 პროცენტით.

ცხრილი 3.1. ლარის ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის დინამიკა 2019წ.

	9 ივლისი 2019	9 ივლ 2019- 1იან 2019	9 ივლ 2019-1იან 2018
ევრო	3.1778	-3.7 %	-2.3 %
აშშ დოლარი	2.8320	-5.6 %	-8.5 %
თურქული ლირა	0.4947	2.2 %	39.0 %
რუსული რუბლი	0.0444	-13.5 %	1.3 %
ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი	120.66	-5.6 %	2.1 %
რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი (მაისი 2019)	119.40	-0.2 %	3.3 %

წყარო:საქართველოს ეროვნული ბანკი.

გრაფიკი 3.9. ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი 9 ივლისი,2019.



წყარო:საქართველოს ეროვნული ბანკი.

2013 წელს საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020“. ეს არის მნიშვნელოვანი პოლიტიკური დოკუმენტი, რომელიც საშუალებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ მთავრობის ეკონომიკური ხედვები და დასახული ნაბიჯები მომავალი 7 წლის მანძილზე. ამ დოკუმენტის მიზანი იყო სწრაფი, ეფექტური ეკონომიკის განვითარება, რომლითაც ისარგებლებს საქართველოს ყველა მოქალაქე და იქნება მდგრადი ეკონომიკური ცვლილებების მიმართ.

სწორედ ზემოთაღნიშნული სტრატეგიით იყო გათვალისწინებული დაგროვებითი საპენსიო რეფორმა, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

დღის წესრიგში საპენსიო რეფორმის გადახედვა და დაგროევბით მეთოდზე გადასვლა, დააყენა ისეთმა საკითხებმა როგორიცაა: დემოგრაფიული პრობლემა, ლარის გაუფასურება აშშ დოლარის მიმართ და სხვა.

რეფორმა აქტიურად განიხილებოდა როგორც ვიწრო პროფესიულ ჯგუფებში ასევე საზოგადოების მხრიდან.

2018 წელილ 21 ივლისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ. ეს კანონი არეგულირებს დაგროვებით პენსიასთან დაკავშირებით. კანონის და რეფორმის მიზანია, უზრუნველყოს დაგროვებითი საპენსიო სქემის ფარგლებში საპენსიო აქტივების მართვა მონაწილეთა ინტერესების შესაბამისად.

დაგროვებითი საპენსიო რეფორმის განხორციელება საქართველოში დაკავშირებული იყო გარკვეულ გამოწვევებთან და თან ახლავდა რისკები. მაგალითად, რისკი იმისა თუ რამდენად მდგრადი იქნება დაგროვებითი საპენსიო სისტემა ინფლაციური პროცესების მიმართ, გარდა ამისა გასათვალისწინებელია პოლიტიკური რისკებიც.

2019 წელს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითრების ორგანიზაციის OECD ეგიდით ჩატარებული კვლევის თანახმად მომზადებულ რეიტინგში საქართველო დასახელდა პირველ პოზიციაზე. საქართველომ შეძლო მოეპოვებინა 9 საუკეთესო შეფასება 12 კატეგორიიდან.

2018 წლის რეიტინგებთან შედარებით ქვეყნის სარეიტინგო ქულა და შეფასება გაუმჯობესთა 11 ინდეკატორით.

2019 წელს ძალაში შევიდა საქართველო ჰონკონგს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულება. ამ ყველაფრის მიზანი კი გახლავთ საქართველოსა და ჩინეთის სახელმწიფო რესპუბლიკას შორის საქონლის თავისუფალი გადაადგილების შესახებ პირობების განსაზღვრა, ასევე მომსახურებით ვაჭრობის ხელშეწყობა და განვითარება.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საქართველო არის პირველი ქვეყანა, რომელთანაც ჰონკონგმა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება გააფორმა.

2019 წელს საქართველომ, ევროპის პალატის მიერ გამოქვეყნებული ბიზნეს რეიტინგის მიხედვით, წინა წელთან შედარებით შეძლო 2 პოზიციით წინ წაწევა და დაიკავა 16 ადგილი ევროპის 46 ქვეყანას შორის.

ამავე წელს გაუმჯობესდა სარეიტინგო ქულა 1.98 პუნქტით და 71 ქულას მიაღწია.

2020 წლის მონაცემებით მსოფლიო ბანკის ინდიკატორით საქართველო გლობალურად საუკეთესოთა შორის მე-7 ადგილზე დასახელდა.

საქართველოს ეკონომიკიური ტრანსფორმაციის ისტორიაში დიდ ზეგავლენას ახდენს დღესდღეისობით მიმდინარე მოვლენები მსოფლიოში. ერთ-ერთი ასეთი მოვლენა 2020 წელის პანდემია და კორონა ვირუსია, რომელმაც დიდი გამოწვევების წინაშე დააყენა მსოფლიო და მათ შორის საქართველოც.

2020 წელი მსოფლიოსთვის არც თუ ისე კარგად დაიწყო, რადგან გამოჩნდა ახალი ტიპის კორონავირუსი (covid-19) რომელმაც მსოფლიოში პანდემია გამოიწვია და ეს

ყველაფერი მსოფლიოსთვის, უჩვეულო და მოულოდნელ გამოწვევად იქცა, რომელსაც უდიდესი მასშტაბები გააჩნია მსოფლიოს უახლეს ისტორიაში. საქართველო გახლავთ ქვეყანა, რომელიც მსოფლიო ეკონომიკის შემადგენელი ნაწილია და სწორედ ზემოთხსენებული მიზეზების გამო, საქართველოც ურთულესი გამოწვევების წინაშე დადგა, მათ შორის ეკონომიკური გამოწვევების. არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, ქვეყანას და ზოგადად მსოფლიოს ქვეყნებს არ შეუძლიათ მოვლენების მომავალი განვითარების პერსპექტივა, ჰუმანიტარული და ეკონომიკური ზიანის ზუსტად განსაზღვრა.

საქართველოში ეკონომიკური აქტივობები მკვეთრად შემცირდა, რამაც ზეგავლენა მოახდინა ეკონომიკურ სუბიექტებზე. მათ შემოსავლების შემცირებით იზარალეს, რაც სამუშაო ადგილების მკვეთრ შემცირებას უკავშირდება, აგრეთვე გაიზარდა მათი ვალდებულებები და გაკოტრების რისკი. პირდაპირი თუ ირიბი გზებით, ეკონომიკის თითქმის ყველა დარგი დაზარალდა და ზარალდება კვლავ. განსაკუთრებით აღსანიშნავია მომსახურეობის სფერო, ტრანსპორტისა და ვაჭრობის სფეროები, ტურისტული ინდუსტრია. აღნიშნული დარგები, ბოლო წლების განმავლობაში მზარდი დინამიკით ხასიათდებიან და ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში უდიდესი წვლილი შეაქვთ. ტურისტული კლებადობა მსოფლიო პანდემიის ჟამს მსოპლიოს თითქმის ყველა ქვეყანამ გადაიტანა თავის თავზე და ეს სრულიან ლოგიკურია, თუმცა საქართველოს მთავრობამ 2020 წლის 18 მარტიდან, საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის შემოსვლა აკრძალა. ქვეყანაში არსებული საგანგებო მდგომარეობის გამო, აიკრძალა საჰაერო, სამგზავრო, საზღვაო მიმოსვლები, გარდა სატვირთო გადაზიდვებისა. მთელი ქვეყნის მასშტაბით შეჩერდა კინოთეატრების, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრების, გასართობი და დასასვენებელი ცენტრების, სილამაზის სალონების, ღამის კლუბების საქმიანობა. შეზღუდვები შეეხო ასევე სერვისების მიწოდებას.

მსოფლიო პანდემიას გრძელვადიან პერიოდში, დიდი ზიანის მიყენება შეუძლია როგორც მიკრო, ასევე მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე.

როდესაც ქვეყანაში კრიზისული სიტუაციაა, ქვეყნის მთავრობა ხარჯების ზრდას ახორციელებს, ამასტან გადასახადებსა და რეფინანსირების განაკვეთს ამცირებენ, რათა

კრიზისით გამოწვეული მოთხოვნის კლების დაბალანდება და ეკონომიკური სტიმულირება ისე მოხდეს, რომ ეკონომიკური რეალური სექტორი კრიზისის განმავლობაში წონასწორულ მდგომარეობასთან ახლოს დარჩეს.

აგრეთვე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მიმდინარე და მოსალოდნელი მასშტაბური ეკონომიკური კრიზისის საფუძველი არაეკონომიკურია. შესაბამისად ჩნდება მრავალი კითხვა ამ საკითხთან დაკავშირებით. ეკონომიკისთვის დამატებითი სახსრების მიწოდება, კრიზისის პირობებში, შემცირებული მოთხოვნის დასაბალანსებლად მუშაობს. თუმცა საქართველოს ეკონომიკის შენელებას არ იწვევს ფინანსური მიზეზებით გამოწვეული მოთხოვნების კლება, არამედ ეს ყველაფერი დაკავშირებულია უსაფრთხოების რეკომენდაციებთან, რომელმაც საბოლოოდ განაპირობა აქტივობების შემცირება (ადამიანი ვერ ყიდულობს წიგნს, ფინანსური პრობლემის გამო არა, არამედ საცხოვრებლიდან ვერ გადის რეკომენდაციების გამო). მოცემული რეკომენდაციებით შესრულებით გამოწვეულ ჩავარდნას კი ფინანსური რესუსრსის მიწოდება ვერ აღმოფხვრის და ის არა ეკონომიკური, არამედ უფრო სოციალური მიზნის მატარებლად შეიძლება მივიჩნიოთ. ქვეყანაში დამატებითი ფინანსური შესაძლო რესურსების წარმოშობა, რომელიც მოთხოვნას წაახალისებს, უფრო ეფექტიანი იქნება კრიზისის შემდგომ პერიოდში, მაშინ როდესაც უსაფრთხოების შეზღუდვები მოიხსნება და ეკონომიკურ ერთეულებს სრულფასოვანი მუშაობის საშუალება მიეცემა.

მსოფლიოში არსებული კრიზისების ფონზე, ქართული ლარის კურში ამერიკულ დოლართან მიმართებაში, დაახლოებით 24% გაუფასურდა. 2020 წლის 18 მარტს ჩატარდა ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის სხდომა, სადაც გადაწყდა რეფინანსირების განაკვეთი ისევ 9% დარჩენილიყო. აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ქვეყანაში მწვავე ინფლაციური პროცესების განვითარების გამო, საპროცენტო განაკვეთი ვერ შემცირდებოდა.

არსებული ვითარების გამო, ქვეყანა და ხელისუფლება მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა, ხელისუფლების პოზიცია ქვეყანაში არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით კი 13 მარტს ქვეყნის პრემიერ მინისტრმა გაახმოვანა, სადაც მან ეკონომიკურ გუნდთნა ერთად ეკონომიკური ღონისძიებების გეგმა წარმოადგინა. ეს

გეგმა ისახავდა სხვადასხვა ეკონომიკურ აქტივობებს, რომლის საშუალებითაც ქვეყანაში დამატებით 1 მილიარდ ლარზე მეტი ფინანსური რესურსი გაჩნდებოდა, კერძოდ ეს ყველაფერი მოიცავდა :

1. კომპანიებისთვის ფინანსური რესურსის მიწოდების მიზნით, მთავრობა გააორმაგებს დღგ-ის დაბრუნებებს და წლის ბოლომდე დაგეგმილი 600 მლნ ლარის ნაცვლად, ფინანსთა სამინისტრო, კომპანიებს დააბრუნებს, 1,200 მლნ ლარს
2. გაკეთდება სპეციალური სახელმწიფო პროგრამა, რომლიც მისცემს საშუალებითას 4-დან 50 ნომრამდე სიდიდის სასტუმროებს, მთელი ქვეყნის მასშტაბით, მიიღონ საბანკო სესხის 6 თვის პროცენტის თანადაფინანსება;
3. რა თქმა უნდა სახელმწიფოს ნებისმიერი ჩარევა ბიზნესის სფეროში უარყოფით ზეგავლენას ახდენს მასზე და ქვეყნის ეკონომიკაზე. მოცემულ სიტუაციაშიც მსგავსი სიტუაციაა, თუმცა პანდემიის დაწყებისთანავე მოსახლეობის უმრავლესობამ ტურისტული აქტივობებისგან თავი შეიკავა და სასტუმროს ჯავშნები გააუქმა. შემდგომში დაწესებულმა შეზღუდვებმა კი, ტურისტულ სფეროში კოლაფსი გამოიწვია, რის მიხედვითაც შეჩერდა ნებისმიერი ტურისტული აქტივობა. ზარალი განიცადა სატრანსპორტო სფერომაც, რადგან ტრანსპორტზე მოთხოვნა შემცირდა. ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ ზემოთ ხსენებული სფეროები ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში, ასე თუ ისე, დიდ როლს თამაშობენ, რადგან ისინი აყალიბებენ ქვეყნის მშპ-ს 12%-ს.

საქართველოში 2019 წელს ვაჭრობის სექტორმა მშპ-ს 14.4 % შეადგინა, ხოლო 2020 წელს პანდემიის გამო, ვაჭრობაზე შეზღუდვები დაწესდა, რის გამოც შესაბამის სავაჭრო და მომსახურების ობიექტებს შეუმცირდათ აქტივობა, მხოლოდ სააფთიაქო და სასურსათო ობიექტები განაგრძობდნენ სრული დატვირთვით ფუნქციონირებას.

მსოფლიოში განვითარებულმა მოვლენებმა, ეროვნული ვალუტის გაცვლით კურსზე უდიდესი ზეგავლენა მოახდინა. ლარის კურსი გაუფასურდა, ხოლო ეროვნულმა ბანკმა ამ ყველაფერს სავალუტო ინტერვენციებით უპასუხა,

რათა კურსი შეეჩერებინა არსებულ ნიშნულზე, თუმცა ამ ყველაფერმა შედეგი არ გამოიღო. თითქმის შეჩერებულმა ეკონომიკურმა საქმიანობებმა და ქვეყანაში შემცირებულმა გადმორიცხვებმა მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა სიტუაციის კიდევ უფრო დამძიმებაზე. მსოფლიო პანდემიის ჟამს, მთელს მსოფლიოში შემცირდა აქტივობები, რამაც ქართველი ემიგრანტების შემოსავლებზეც უარყოფითად იმოქმედა, ეს ყველაფერი კი თავის მხრივ მიბმული გახლავთ გადმორიცხვებზე. ტურიზმის სფეროში არსებული პრობლემებიდან გამომდინარე, ქვეყანაში უცხოელი ტურისტი ვეღარ შემოდის, რის გამოც ქვეყანა ვერ იღებს უცხოურ ვალუტას, რაც თავის მხრივ დამატებით ზეგავლენას ახდენს ვალუტის კურსის სიმყარეზე.

მსოფლიოში დღემდე არასტაბილური ვითარებაა და რთული იმის განჭვრეტა როდის შეიძლება დაუბრუნდეს სამყარო ჩვეულ რითმს, აქედან გამომდინარე, მსოფლიოში ინვესტორები გადავიდნენ მოლოდინის რეჟიმში. საქართველო დღესდღეობით მსოფლიოს განვითარებად ბაზარს მიეკუვთნება,საერთასშორისო სავალუტო ფონდის მონაცემებით კი, ინვესტორებმა სწორედ ამ განვითარებადი ბაზრებიდან უკვე გაიტანეს 83 მილიარდი დოლარი, ეს კი მსოფლიოში ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. საქართველოს მსოფლიო პანდემიამდეც არ ჰქონდა სახარბიელო მდგომარეობა ინვესტიციების მოზიდვის მხრივ. საქართველოში 2019 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მხოლოდ და მხოლოდ 0.2 %-ით გაიზარდა და ეს 2018-19 წლის მაჩვენებელი მხოლოდ და მხოლოდ 2013 წლის მაჩვენებელს აღემატებოდა.

ცხრილი 3.2. პირდაპირი უცხოური ინვერსიტციების დინამიკა 2013-2019 წლები.

წელი	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019*	2020*
სულ	1039.2	1837.0	1729.1	1650.3	1962.6	1265.2	1267.7	165.4
I კვ	291.8	331.9	343.4	392.2	411.7	323.5	283.6	165.4
II კვ	224.1	217.6	493.2	452.1	394.0	403.6	209.8	
III კვ	271.6	749.5	531.1	506.5	627.9	367.0	427.4	

IV კვ	251.6	538.0	361.3	299.5	529.0	171.0	347.0	

წყარო:საქართველოს ეროვნული ბანკი

კრიზისისთვის დამახასიათებელია სავაჭრო ბრუნვის შემცირება, შესაბამისად დღევანდელი მონაცემებით შემცირდა ექსპორტის მოცულობაც. მეორე მხრივ მსჯელობისას შემცირდა საქართველოს მოთხოვნა იმპორტზე, რაც უცხოეთში ვალუტის გადინებას უშლის ხელს და ვალუტის კურსიც ერთგვაროვნად დაბალანსებულია, თუმცა მხოლოდ ეს არ არის საკმარისი.

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საქართველომ და მისმა ეკონომიკამ ბოლო 30 წლის მანძილზე საკმაოდ რთული, შრომატევადი გზა განვლო გეგმიური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში. ამ პროცესში საქართველოს მთავრობებთან ერთად აქტიურად მონაწილეობდნენ საერთაშორისო ორგანიზაციები. ისეთები როგორებიც არიან: საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი, ევროკავშირი და სხვა.

როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნე, ეკონომიკა არის მეცნიერება, რომელსაც არ გააჩნია ცდების ჩატარების ბერკეტი, მას შეუძლია მხოლოდ დაეყრდნოს გამოცდილებას და გააკეთოს პროგნოზები, სწორედ ამიტომ ქვეყნები, მათი რეფორმები და შედეგები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. შეუძლებელია რომელიმე რეფორმა უბრალოდ გადაკოპირებული იქნას ერთი ქვეყნიდან მეორეში, რამდენადაც ქვეყნები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან: კულტურით, ისტორიით, რელიგიით, მენტალობით, რესურსებით, განათლების დონით და სხვა მრავალი ნიშან-თვისებით, რომლებიც საბოლოო ჯამში უდიდეს ზეგავლენას ახდენს რეფორმათა ხასიათზე, მათ გატარების გზაზე, სირთულესა და შედეგებზე. ამის ნათელი მაგალითია შოკური თერაპია, რომელიც პოლონეთში წარმატებით გატარდა, თუმცა საქართველოში შედეგი ვერ გამოიღო. მიზეზი კი იმ გარემოებების გაუთვალისწინებლობა გახდა რაც უშუალოდ იყო განმასხვავებელი ფაქტორი საქართველოსა და პოლონეთს შორის. ეს ყოველივე საქართველოსთვის და არა მხოლოდ საქართველოსთვის, კარგი გაკვეთილი იყო თუ როგორ არ უნდა გადმოკოპირდეს თვალდახუჭულად რეფორმა ერთი ქვეყნიდან მეორეში.

საქართველოს უახლესი ისტორიის მანძილზე გატარდა ბევრი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი რეფორმა, რომელმაც ქვეყნის ეკონომიკა გამოაცოცხლა და წინ წასწია. იყო ისეთი შემთხვევებიც როდესაც საჭირო იყო რისკზე წასვლა და არ გათვალისწინება

საერთაშორისო ორგანიზაციების რჩევების, მაგალითად ლარის შემოღება, ეს რისკი გამართლებული აღმოჩნდა, როგორც სხვა მრავალი.

საქართველოს საკმაოდ ბევრი რეფორმა ეკონომიკური თუ არაეკონომიკური ხასიათის გახდა მისაბაძი მაგალითი მეზობელი ქვეყნებისათვის.

თითოეული მთავრობა, რომელიც იყო საქართველოს სათავეში ცდილობდა საკუთარი მმართველობის პერიოდში ქვეყანის წინ წაწევასა და საერთაშორისო ასპარეზზე ქყვეყნის პოზიციების გამყარებას.

ბევრი რეფორმის გატარების დროს იყო დაშვებული შეცდომები, რომლებიც ზოგჯერ გამოუცდელობის ბრალი იყო, ზოგჯერ არასწორი რჩევების საერთაშორისო მხრიდან და ზოგჯერ კარგად არ იყო გააზრებული მათი მიზანი და მიღწევის გზები. ეს ყველაფერი საქართველოს ეკონომიკისთვის საკმაოდ მტკივნეული გადასატანი იყო, თუმცა მეორეს მხრივ ამ შეცდომებმა მოუტანა ქვეყანას საკმაოდ დიდი გამოცდილება, რომლის გაზიარებაც შეგვიძლია მსოფიოსათვის.

ეროვნული ვალუტის სტაბილიზაციაზე ზრუნვა ქვეყნის ეკონომიკური დღის წესრიგის განუყოფელი ნაწილია. რამდენადაც არასტაბილური ვალუტის კურსი აფერხებს ეკონომიკური ზრდის პროცესს, აჩენს უარყოფით მოლოდინებს, ასევე უარყოფითად მოქმედებს ქვეყნის იმიჯზე საერთაშორისო ასპარეზზე, რაც იწვევს ინვესტიციათა შემცირებას.

საჭიროა ყურადღება მიექცეს ისეთი დარგების განვითარებას როგორებიცაა: ინოვაციური ტექნოლოგიები, მრეწველობა, რომელიც ადგილობრივი რესურსებისაგან შექმნის პროდუქტებს და ორიენტირებული იქნება იმპორტის ოდენობის შემცირებასა და ექსპორტის ოდენობის ზრდაზე, სოფლის მეურნეობა. საჭიროა მოხდეს სოფლების ურბანიზაცია მათი რესურსების ათვისება და სრული გამოყენება ეკონომიკური კეთილდღეობის მისაღწევად.

აუცილებელია ხელისუფლების მხრიდან რესურსების გამოყოფა, რათა მოხდეს ადგილობრივი წარმოების ხელშეწყობა, წახალისება და განვითრება. ასევე მნიშვნელოვანია ბიზნესის ხელშეყობა, და ბაზრების მონოპოლიისაგან გათავისუფლება რამდენადაც მონოპოლიები დიდ პრობლემას ქმნიან ბიზნესის და ეკონომიკის განვითარების პროცესში.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის ტრანსფორმაცია და განვითარება არის უწყვეტი პროცესი, რომელიც დღესაც აქტიურად მიმდინარეობს. ქვყნის წინაშე კვლავ დგას მრავალი გამოწვევა და ბარიერი, რომელიც გადასალახია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ანგარიში 2016 წლის აპრილი კაპიტალის ბაზრის განვითარების სტრატეგია.
2. ბასილაია თ, სილაგაძე ა, ჩიკვაიძე თ- პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკია XXI საუკუნის მიჯნაზე, თბილისი 2001.
3. გია ჯანდიერი -საქართველოს მოკლე ეკონომიკური ისტორია გაკვეთილი, რომელიც უნდა დავიმახსოვროთ. 2014წ
4. დავით სიხარულიძე, ვახტანგ ჭარაია - უცხოური პირდაპირი ინვესტიციები: თეორია და საქართველოს გამოცდილება.2018 წელი
5. ეკონომიკისა და მდრადი განვითარების სამინისტრო - მიმდინარე ეკონომიკური ტენდენციები აგვისტო 2019
6. ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი -2012 წლის მიმოხილვა საქართველოს ეკონომიკის პერსპექტივა მარტი 2013
7. ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი ოქტომბერი, 2013 არის თუ არა სტაგნაცია 2013 წლის ეკონომიკური მიმოხილვა ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი ოქტომბერი, 2013 საქართველოს ეკონომიკის პერსპექტივა მე-7 ანგარიში
8. ვებგვერდი - https://raketdeba.ge/
9. ვლადიმერ (ლადო) პაპავა - საქართველოს ეკონომიკა რეფორმები და ფსევდორეფორმები 2015წელი
10. ვლადიმერი (ლადო) პაპავა - საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოში: მიღწევები და შეცდომები. თბილისი 2000.
11. კონკურენციის პოლიტიკა საქართველოში. საერთაშორისო გამჭირვალობა საქართველო 2012წ.

12. ლელა ბახტაძე - გარდამავალი ხანის ეკონომიკა 2006 წ.
13. მსოფლიო ბანკის დოკუმენტი - საქართველო: შესაძლებლობები კეთილდღეობის მისაღწევად. დეკემბერი 2014წ.
14. პიტერ პომერანცევი ჯეფრი რობერტსონი, იოვან რატკოვიჩი და ენ აპელბაუმი რევოლუციური ტაქტიკა: პოლიციისა და სასამართლო რეფორმები საქართველოში 2014წ.
15. საზოგადოება და ბანკები 2013 წ. ეკონომიკური ზრდა და მისი გამოწვევები
16. საქართველოს ეკონომიკური ტრანსფორმაცია: დამოუკიდებლობის 20 წელი 2012წ.
17. საქართველოს ეროვნული ბანკი - 1997 წლიური ანგარიში. 1997წ.
18. საქართველოს ეროვნული ბანკი - ეკონომიკა და საბანკო საქმე ტომი 3. 2015 წ.
19. საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ გვერდი - https://www.nbg.gov.ge/index.php?m=2
20. საქართველოს მთავრობა - საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია საქართველო 2020 2014წ.
21. საქართველოს მთავრობა - ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2018-2021 წლებისათვის (პირველადი ვარიანტი) 2017 წ.
22. საქართველოს მთავრობა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია საქართველო 2020 2014წ.
23. საქართველოს მთავრობა ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2019-2022 წლებისათვის - 2018 წ.
24. საქართველოს მთავრობის დადგენილება N400 2014 წლის 17 ივნისი ქ. თბილისი - საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის „საქართველო 2020“ დამტკიცებისა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე
25. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ გვერდი - https://www.geostat.ge/ka
26. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო 2014 წლის ეკონომიკური მიმოხილვა. 2015წ. https://mof.ge/common/get_doc.aspx?doc_id=10836

27. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - მიმდინარე ეკონომიკური ტენდენციები- მარტი 2018წ.
28. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - მიმდინარე ეკონომიკური ტენდენციები- აპრილი 2019წ.
29. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო- ეკონომიკური მიმოხილვა თებერვალი 2015 წ.
30. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო მიმდინარე ეკონომიკური ტენდენციები ივნისი 2019წ.
31. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო- საქართველოს ეკონომიკის მიმოხილვა და ცვლილებები 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში 2013წ.
32. სტატია - 2019 წლის ეკონომიკური მაჩვენებლების მიმოხილვა- 2019წ. https://bm.ge/ka/article/2019-wlis-ekonomikuri-machveneblebis-mimoxilva/46374
33. სტატია - ეკონომიკური თამაშის წესები ,,ვარდების რევოლუციის შემდეგ- 2016 წ. https://for.ge/view/45743/ekonomikuri-TamaSis-wesebi-vardebis-revoluciis-Semdeg.html
34. სტატია : შედეგები და შეცდომები: ექსპერტები ვარდების რევოლუციიდან 15 წლის თავზე 2018წ. https://www.amerikiskhma.com/a/rose-revolution-15-year-anniversary/4675301.html
35. სტატია Forbes Georgia დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკური ისტორია 2017წ. https://forbes.ge/news/3331/damoukidebeli-saqarTvelos-ekonomikuri-istoria
36. სტატია Forbes Georgia - ქართული ოცნების ეკონომიკური დაპირებები - 2016წ. https://forbes.ge/news/1714/qarTuli-ocnebis-ekonomikuri-dapirebebi
37. სტატია Forbes Georgia 2014 წლის ეკონომიკური ზრდის ტენდენციები - 2014წ. https://forbes.ge/news/381/2014-wlis-ekonomikuri-zrdis-tendenciebi
38. სტატია Forbes Georgia IMF: საქართველოში გატარებული საგადასახადო რეფორმა მსოფლიოში ერთ-ერთი წარმატებულია 2018წ. https://forbes.ge/news/3535/saqarTvelos-sagadasaxado-reforma-warmatebulia
39. სტატია 15 წლის თავზე ვაშინგტონში ვარდების რევოლუციას აფასებენ 2018წ. https://www.amerikiskhma.com/a/rose-revolution-anniversary/4672424.html

40. სტატია საქართველო: სახელმწიფო ბაზარში. ნეოლიბერალიზმიდან მართულ კაპიტალიზმამდე-2017წ. https://ge.boell.org/ka/2017/05/05/sakartvelo-saxelmcipo-bazarshi-neoliberalizmidan-martul-kapitalizmamde
41. ჭითანავა ნ, გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, ნაწილი I, II, III. თბილისი 1997-1999-2001.
42. Channarith Meng, National Graduate Institute for Policy Studies (GRIPS): The Role of Pension Funds in Capital Market Development, 2010. http://www.grips.ac.jp/r-center/wp-content/uploads/10-17.pdf